საერთაშორისო ვახტზე საბჭოთა საქართველო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 186 (13878) | ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.



ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყოველდღიურად ქვეყნდება რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებების მუშაკთა ფოტოსურათები, რომლებიც გვაუწყებენ, მშრომელი ადამიანების სახელებს, მოგვითხრობენ მათს მიღწევებზე, პროფესიაზე. ყველა მათგანში ჩანს საბჭოთა ადამიანის ნამდვილი სახე და ხასიათი.

დღეს ვაქვეყნებთ თბილისის კამოს სახელობის თვალსაჩინო ხელსაწყოების ქარხნის ამწყობი ზეინკლის გუსტუტი გველესიანის ფოტოსურათს. ბ. გველესიანი ქარხნის მოწინავე ზეინკალია და ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეცნიერების ჰორიზონტები

მეცნიერება საწარმოო ძალად იქცა ჩვენს დროში. მეცნიერება მიაბიჯებს ჩვენს გვერდით, იგი ჩვენი მასწავლებელი, დამრიგებელი, გზის გამკვალავია ცხოვრების ყველა უბანზე. ჩვენ წინ მიგვიძღვის დარში ისეთი ნათელმოსილი მეცნიერებისა, როგორიც არის მარქსიზმ-ლენინიზმი. მეცნიერების ყველა დარგი — თეოლოგიური იქნება იგი თუ ტექნიკური — კომუნიზმის მშენებელი ხალხის უპირველესი თანაშემწეა თავის ძლევამოსილ წინსვლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ნათქვამია:

„საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე მეცნიერება გახდა საერთო სახელმწიფოებრივი საქმე პარტიისა და ხალხის მუდმივი ზრუნვის საგანი“. ამიტომაც არის, რომ წლითიწლობით დიდდება მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა და ჩქარდება მისი შედეგების დანერგვა წარმოებაში. კვლევართა დამკვრელურ რაზმებში, რომლებიც ჩვენი დიადი სამშობლოს კიდით კიდემდე იღვწიან, თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებსაც. ამის პირობები შექმნა დიდმა ოქტომბერმ, სოციალისტურმა წყობილებამ. მეცნიერება მძლავრად ზლის მხრებს და ჩვენი ყოველდღიურობის განუყრელი თანამგზავრი ხდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ბაზებზე შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის თანამშრომელთა საერთო რიცხვი 7.400 შეადგენს, ჩვენი ქვეყნის მძლავრ მეცნიერულ ცენტრად იქცა. აკადემიის 53 ნამდვილი წევრი და 31 წევრ-კორესპონდენტი, 8.500 მეცნიერი თანამშრომელი — მათ შორის ორასამდე მეცნიერებათა დოქტორი და ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი! — აი ის დიდი კოლექტივი, რომელსაც ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით თვალსაჩინო წვლილი შეაქვს რესპუბლიკის კულტურულ და სამეურნეო წინსვლაში. დღეს რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშას აბნევია ორი ლენინის ორდენი, ეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და ლაბორატორიების, მთელი მეცნიერების დაუღალავი კვლევა-ძიებითი მუშაობისა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის ნაყოფიც არის.

ქართული მეცნიერება იქცა უშუალო მწარმოებელ ძალად. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის — სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლების — მიერ ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პროცესის მექანიზაციის დარგში ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნა და წარმოებაში დანერგვა. ამან უმაგალითოდ გააფართოვა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი კულტურის პერსპექტივები, გაზარდა ჩაის პლანტაციებში შრომის ნაყოფიერება, უზრუნველყო წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. დღეს გვაქვს მეტად პოპულარული ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა, რომელიც დიდად ამსუბუქებს მეჩაიეთა მძიმე შრომას. ათიოდე წლის წინათ ჩვენი მეჩაიეები მხოლოდ ოცნებობდნენ ასეთ მანქანებზე. ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ და მის შემქმნელ და წარმოებაში დანერგავ მეცნიერთა ჯგუფს წელს ლენინური პრემია მიენიჭათ.

შორს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ იმ დიდი კვლევა-ძიებითი, ეშმაკიანი შემოქმედებითი შრომის შედეგად, რასაც ამ სკოლის კორიფეები, მისი წარმომადგენლები ეწევიან. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში მოპოვებული წარმატებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის წელს შრომის წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

მსოფლიოს მეცნიერებე და მეცნიერული ცენტრები მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველ მეცნიერთა მიღწევებს როგორც მათემატიკაში, ისე ფიზიკაში, ისტორიაში, ფიზიოლოგიაში, ტექნიკაში, ენათმეცნიერებაში... ქართველ მეცნიერთა მრავალი ფუნდამენტალური გამოკვლევა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენი აკადემიის 30 მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის აკადემიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებად.

გაკეთებული დიდია, და არ შეიძლება იგი ღირსეულად არ შეიფასო. ახლა საჭიროა ათეულ წლობით დამკვიდრებული და განმტკიცებული ტრადიციები ჩვენი მეცნიერული კვლევის კიდევ უფრო გაკვაფართოოთ. დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი ახალი მეცნიერული აღმოჩენებით, ეფექტურ კვლევათა პრაქტიკაში დანერგვით, ახალი დიდი წარმატებებით აღვნიშნოთ. ცხოვრება მეტს მოითხოვს. ჩვენმა მეცნიერებმა კიდევ უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ოვალური შესაძლებლობანი. მეცნიერული კვლევის ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს თვითეული დიდი პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტას — დაწყებული კვლევით და დამთავრებული დასრულებულ სამუშაოთა რეალიზაციით.

გამოთვლითი მათემატიკის დარგში შესრულებული კვლევები, რომელთა შედეგები ხელს უწყობენ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. პირველად იქნა განხორციელებული დახსნივე რეაქტორის ნეიტრონული ნაკადით თხევადი ჰელიუმის ტემპერატურაზე. სტატუციონობის თვიდან აცილების მიზნით წარმატებებია მიღწეული მძლავრ ეროვა-ლრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების შემდგომი დამუშავების საქმეში. გამოიცადა სტატუის საწინააღმდეგო ახალი ნაკეთობა „ალაზანი“. მრავალი ასეთი ეფექტური კვლევა-ძიებაა ჩატარებული მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში და მათი შედეგები წარმატებით დანერგილია ან ინერგება წარმოებაში. სამეცნიერო დაწესებულებების მიერ დამთავრებულ სამუშაოთა შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის საქმეს ხელს უწყობს აკადემიის დანერგვის კომისია.

მეცნიერებათა აკადემიის მთავარ მეცნიერულ მიმართულებებს საფუძვლად უდევს რესპუბლიკის ეკონომიური და სამეურნეო მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, მისი საწარმოო ძალების აღმავლობის ამოცანები. ეს კი თავისთავად მოითხოვს სამეცნიერო დაწესებულებათა მტკიცე შემოქმედებითს თანამოქმედებას და ნამდვილ თანამშრომლობას შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, თვით წარმოებებთან. არა მარტო კვლევა, არამედ შედეგების დანერგვა წარმოებაში, — აი რით უნდა ვიყოთ დაინტერესებული. მეცნიერების წინაშე დაყენებული ამოცანები წარმატებით რომ გადავწყვიტოთ, საჭიროა განსაკუთრებული უურადღება მივაქციოთ მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების მომზადებას. ამას მოითხოვს მეცნიერების სწრაფი განვითარების ინტერესები.

ყველა ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჭეროვნად არ ჩაუდგებიან სათავეში სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა კომუნისტების შრომას, ინიციატივას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბეჯითად უნდა იბრძოლონ მეცნიერული შრომის შემდგომი ამაღლებისათვის.

მთელი ჩვენი ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ეჭვი არ არის, რომ ქართველი მეცნიერები როგორც ყოველთვის, ახლაც ივლიან ნაკადი გზით და სამშობლოს გაახარებენ ახალ-ახალი ეფექტური კვლევა-ძიებით, ახალი შემოქმედებითი წარმატებებით.

მაგ კვლავაც დავრაზმოთ მეცნიერთა ძალები და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები მეცნიერებისა და ტექნიკის იმ ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც თვალსაჩინო ეფექტს იძლევიან.

ვაფართოოთ მეცნიერების ჰორიზონტები!

ენგურჰესის მშენებლობაზე

ერისწყლის ხეობაშია გვირაბმშენის სამმართველო. კაცი უთუოდ გვირაბებს უნდა ეწვიო, რომ

გვირაბმშენებელთა ტემპი

კლდეზე უფრო ძლიერი ადამიანების შემართება ნახო. გვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივის შეუფერხებელ მუშაობაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, რადგან ენგურმა თავისი სიფიცხე მის გვირაბებში უნდა დაიოკოს. გვირაბის მშენებლობის ანგარიშზე 15 კილომეტრი სიგრძის გვირაბია.

გვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივში გამოირჩევა სერგო თედეევის კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადა.

სერგო თედეევს მთელი მშენებლობა იცნობს, როგორც კარგ ორგანიზატორს. უყურებ ამ სამუალო ტანის კაცს და გიკვირს, როგორ ემორჩილებიან ვეება კლდეები. მას ხომ საკუთარი ხელით უშენებია ხრამჰესი, გუმათჰესი, ლაჯანურჰესი. ამიტომ, ცხადია, ჰიდროლოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

გვირაბმშენის სამმართველოში მოხვედრილმა კაცმა არ შეიძლება არ შენიშნოს მაღლა ანძაზე აღმართული წითელი ვარსკვლავი, რომელსაც ციფრი „3“ აწერია. ეს იმის მაუწყებელია, რომ ჯერ კიდევ წინ არიან სერგო თედეევის ბიჭები. ეს რიცხვი წითელი ვარსკვლავით 1965 წლიდან ასე კიაფობს და მესამე ბრიგადის ვაჟკაცურ საქმეებს გვაუწყებს.

სერგოს ბრიგადამ 1966 წლის მარტში ჩაიბარა გვირაბი. უკვე 1.023 გრძივი მეტრი გაიყვანეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 745-ისა და სახელმწიფოს 12.000 მანეთი დაუზოგეს, თვითღირებულება 4,5 პროცენტით შეამცირეს.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს თავიდანვე არ უღალატნიათ ტრადიციისათვის და პირველსავე თვეს 60 გრძივი მეტრი გაიყვანეს ნაცვლად 55-ისა. ყოველთვიურად ზრდიდნენ ამ ციფრს, და აი ივლისში კიდევ ახალი სარეკორდო რიცხვი აღნიშნეს საპატიო დაფაზე — 70 გრძივი მეტრი.

კომპლექსური ბრიგადის წევრებმა ასე თუ იმუშავეს, საოქტომბრო ვალდებულებას სექტემბერში გაანაღდებენ და დანიშნულ დროზე ადრე შეხვდებიან მათკენ მომავალ № 5 გვირაბის მშენებლებს. ჩვენი გადაწყვეტილებაც ეს არის, — აცხადებენ ისინი.

საოქტომბრო ვახტზე დგანან და სექტემბრის ანგარიშში შრომობენ გვირაბგამყვანები: ამირან კიკაბიძე, ვალერი ქარდავა, ანზორ ხურციძე, არტურ ყვირილიანი, ამფეთქებელი შოთა ბენდელიანი, მბურღავი გიორგი ბურჯალიანი.

ლ. ბარქაია, საგუშაგოს უფროსი, გ. ნადირაძე, კ. შანავა, ლ. სარიშვილი, საგუშაგოს წევრები.

მეაბრეშუმეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდაში“. ამ დარგში წარმატებით შრომობს კოლმეურნეობის მოწინავე წევრი თამარ ჯაბუა. სურათზე: თამარ ჯაბუა.

ფოტო ბ. შანავასი.

ქვნიან მტკიცე საკვებ ბაზას

მეცხოველეობის საკვები ბაზის ბალანსში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბუნებრივი დანთესი ბალახების თივა. წელს ეს საკვები რესპუბლიკაში გეგმით უნდა დამზადდეს 415.864 ტონა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1 აგვისტოს ცნობებით დამზადებული იყო 77.603 ტონა თივა, რაც დავალების 18,7 პროცენტს შეადგენს.

ზოგიერთმა რაიონმა უკვე შეასრულა თივის დამზადების გეგმა. მაგალითად, ბურჯალის რაიონში დამზადებულია 3.189 ტონა თივა ნაცვლად 3.005 ტონისა, თელავის რაიონში თივის დამზადების გეგმა შესრულებულია 109,2 პროცენტით. ეს სამუშაო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სიღნაღის რაიონში, სადაც გეგმა შესრულებულია 96,9 პროცენტით, მცხეთის რაიონში დავალება შეასრულეს 72,8 პროცენტით, ყვარლის — 60,3 პროცენტით, წითელწყაროს — 88,8 პროცენტით, მარნეულის — 55,2 პროცენტით, ბარდავის — 54 პროცენტით, ბორის — 55,3 პროცენტით, დუშეთის რაიონში — 53,6 პროცენტით.

თივის დამზადება გაჩაღებულია ახალციხის, ხაშურის, ქარელის, კასპის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, ყაზბეგის, ონის, ამბროლაურის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

მინდვრებსა და პლანტაციებში

ჩადებულია 36.105 ტონა სასილოსე მასა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა პირუტყვისთვის ყუათიანი, წვნიანი საკვების — სილოსის დამზადება. პირველი აგვისტოსათვის სულ ჩადებული იყო 36.105 ტონა სასილოსე მასა. აქედან მიღებულია 4.696 ტონა მზა სილოსი.

წელს სულ უნდა დამზადდეს 910.917 ტონა სილოსი. დღემდე **წითელწყაროს** რაიონს ყველაზე მეტი სილოსი აქვს დამზადებული — 2.141 ტონა. **აფხაზეთის** ას რესპუბლიკაში დამზადებულია 1.656 ტონა სილოსი. ამ საკვების დამზადებას შეიფიდენენ **ასპინძის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, ახალციხისა** და სხვა რაიონებში.

მიმდინარეობს ბალახის ფქვილის დამზადება. ეს ძვირფასი საკვები გეგმით უნდა დამზადდეს 7.000 ტონა, დამზადებულია 1.839 ტონა, რაც გეგმის 26,3 პროცენტს შეადგენს.

აგვისტოს პირველ დღეები ცუდი ამინდებით დაიწყო. მოსავლიანად ამისა, მეჩაიეები ენერგიულად განაგრძობენ ლამპრობას მეტი ჩაისათვის. ერთ დღეს — 8 აგვისტოს რესპუბლიკაში მოიკრიფა 876 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ აგვისტოს რვა დღეში მოკრეფილია 4.054 ტონა, ხოლო სეზონის დაწყებიდან — 171.099 ტონა, რაც წლიური გეგმის 83,5 პროცენტს შეადგენს.

8 აგვისტოს **ახალციხემ** მეჩაიეებმა მოკრიფეს 140 ტონა ჩაის ფოთოლი, **ქობულეთელებმა** —72 ტონა, **ზუგდიდელებმა**—116 ტონა, ამდენივე მოკრიფეს **გალელებმა** მეჩაიეებმა. **ოჩამჩირის** რაიონში 8 აგვისტოს მოკრიფა 62 ტონა, **გეგეჭკორის** — 47 ტონა, **წალენჯიხის** — 47 ტონა, ხოლო **ჩხოროწყუს** რაიონში — 40 ტონა.

ჩვენმა მეჩაიეებმა უნდა გაამლიერონ კრეფის ტემპი, გვახსოვდეს, რომ წლიური გეგმის შესასრულებლად კიდევ უნდა მოიკრიფოს 28.901 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად — 38.901 ტონა.

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ასკანის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელეს ვეტერანმა მეჩაიეებმა, რომლებიც რამდენიმე ათეული წელია მამაცურად შრომობენ ჩაის პლანტაციებში. **ვ. ნინიძე, შ. კვაჭანტირაძე, თ. შევარდნაძე, თ. ჩავლეიშვილი** — აი ვეტერან მეჩაიეთა პლეადა, თვითეულმა უკვე მოკრიფა 5.600 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში ახალი წარმატება მოიპოვეს სოციალისტური შრომის გმირებმა **ნაშა ქურიძემ** და **თამარ ტულუშმა.** პირველს დღემდე მოკრეფილი აქვს 7.300 კილოგრამი „მწვანე ოქრო“, მეორეს — 4.650 კილოგრამი.

ქრეფის ტემპი არ ნელდება

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულებად ცნეს „თბილგაზის“ სამმართველოსა და „ჯორგაზის“ საარაინთაშორისო საექსპლოატაციო კანტორის კოლექტივები. მათ გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიით დაჯილდოებული არიან „ჭითურგაზისა“ და „ზესტაფონგაზის“ საარაინთაშორისო საექსპლოატაციო კანტორების კოლექტივები, მესამე ფულადი პრემიები დაამსახურეს „ზუგდიდგაზისა“ და „თელავიგაზის“ საარაინთაშორისო საექსპლოატაციო კანტორების კოლექტივებმა. (საქდესი).

მაქერავებმა დროს გაუსწრეს

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი პირნათლად ასრულებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებს. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით აითვისა როგორც ქალის, ისე მამაკაცის ლავსანის ლაბადების წარმოება, რომლებიც ძალიან ბოსწონთ მომხმარებლებს. ათვისებულია აგრეთვე სკოლამდელთათვის რამდენიმე მოდელის ლაბადების წარმოება. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ლექტორები და მუშაკები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი — სულ 708 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 19 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 122, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 210, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 199 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 158 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და „დგილობრივ პრესაში.

მაღალი ჯილდო

მოგილოცავთ, მეგობრებო!

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ლექტორები და მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

მათ შორის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ფურცხვანიძე** ბორის ზაქარიას-ძე — საზოგადოება „ცოდნის“ ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციის გაძგეობის თავმჯდომარე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

2. **ხარაძე** არჩილ კირილეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **არღუნი** ხაზარათ შახანის-ძე — აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, დოცენტი, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

2. **ბუნიაშვილი** ალექსანდრე ვარდენის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ბარამიძე** ალექსანდრე გიორგის-ძე — საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

2. **ღლონტი** გენო ანთიმოზის-ძე — აჭარის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

3. **ხომასურიძე** ნასყიდა ვასილის-ძე — საზოგადოება „ცოდნის“ გორის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ასაევა** ლუბოვ ნიკოლოზის ასული — საზოგადოება „ცოდნის“ ლენინგორის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. **წეროძე** ლეილა კარლოს ასული — საზოგადოება „ცოდნის“ კიროვის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, ქალაქი თბილისი.

საკდესის ცნობა

„კოსმოსი-171“

1967 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამზავრის „კოსმოსი-171“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ გააგრძელოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან(აპოგეა) — 220 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 145 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 50 გრადუსი.



საიუბილეო დღიური

თეზისები—მასებში!

საჩხერე. (საკ. კორ.). მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასა და გამოლმა არგვეთის კოლმეურნეობაში გაიმართა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები. დამსწრეთა მოწონება დაამსახურა ლექციებმა: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და თანამედროვეობა“, „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია“, „ოქტომბრის რევოლუცია და მშვიდობიანი სათვის ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე“.

პარტიის რაიკომის შტატგარეშე და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები მოსახლეობაში კითხულობენ ლექციებს თემებზე: „კომუნისტური პარტია ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელი“, „ვ. ი. ლენინი—ოქტომბრის ბელადი“, „სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოქმნა-გაზვითარება, მისი გადაქცევა თანამედროვეობის გადამწყვეტ ფაქტორად“.

აღმავლობის სტენდები

თერჯოლა. (საკ. კორ.). რაიცენტრში მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდები.

ერთ სტენდზე გამოფენილია რაიონის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მის პერსპექტივებს ახალ ხუთწლედში.

მეორე სტენდზე დიაგრამები ასახავენ რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მის პერსპექტივებს ახალ ხუთწლედში.

ზეპირი ჟურნალი —ოქტომბერს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ვახანის სასოფლო კლუბის (გამგე ლ. ჭყოიძე) დარბაზს ამშვენებს ფოტოსტენდი — „ძველი და ახალი ვახანი“ და ხელნაწერი გაზეთი „ლიტერატურული ფურცელი“, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება.

ამასთან აქ მოეწყო იუბილესადმი მიძღვნილი ზეპირი ჟურნალი. მოხსენებები: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“, „ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“, „ძველი და ახალი ვახანი“ — წაიკითხეს ვ. ალხაზიშვილმა, მ. ლონდაძემ და ა. არევაძემ.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ვახანის უხუცესი ადამიანები ვ. მაღრაძე და კ. ალხაზიშვილი. ზეპირი ჟურნალი მხატვრული განყოფილებით დამთავრდა.

ახალგაზრდობა მრგვალ მაგიდასთან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კომკავშირის რაიკომმა მოაწყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ კომკავშირული კომიტეტების მდივნები, სახალხო განათლების, მედიცინის, კულტურის, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები. გაიმართა დიდი საუბარი.

ახალგაზრდების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ, რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ მ. ნარმანიამ, რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ე. ხვიტიამ, მილიციის ბავშვთა ოთახის გამგემ გ. ქებურიამ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. ქობალიამ და საქართველოს აღკკ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ჯიქიამ.

მამათა ნაკვალევზე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ტურისტულმა სადგურმა 16-დან 30 ივლისამდე მოაწყეს საოქტომბრო ლაშქრობაში მონაწილე მე-9 და მე-10 კლასელ მოსწავლეთა რაზმების მოგზაურობა სამამულო ომში ქართული დივიზიების საბრძოლო გზების კვალდაკვალ.

ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ლენტების, მესტიის, ლანჩხუთის, ზესტაფონის რაიონების, ქ. ფოთის და ბაკურიანის საშუალო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად, სულ 68 კაცი.

ლაშქრობის მონაწილეებმა მოინახულეს ნოგორისიისკის, ანაპის, სტანიცა ვიშესტაპლავსკაიას, ქერჩის, თეოდოსიისა და სევასტოპოლის ქართველ მებრძოლთა სამმო სსსფლაოვები, ქართული დივიზიების ბრძოლის ადგილები.

ანაპაში, სტანიცა ვიშესტაპლავსკაიასა და სევასტოპოლში ლაშქრობის მონაწილეებმა ყვავილების თაიგულებით შეამკეს ძმათა საფლავები.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო შეხვედრა რუსული დიდების ქალაქში — სევასტოპოლში. აქ ქართველ მოსწავლეებთან შეხვედრაზე პიონერთა პარკში პიონერებთან ერთად მოვიდნენ ქალაქის მშრომელები, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანები, სამხედრო-საზღვაო გარნიზონის წარმომადგენლები.

ქართველი და სევასტოპოლელი მოსწავლეები შეთანხმდნენ იქონიონ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერა და მეგობრული კავშირი, დათქვეს, რომ ლაშქრობის მონაწილე ქართველი მოსწავლეები წერილობით კავშირს დაამყარებენ სევასტოპოლის ისტორიულ მუზეუმთან, რომელიც მათ მიაწვდის მასალებს სევასტოპოლის გმირულ დაცვაში ქართველ მეომართა მონაწილეობის შესახებ.

მამათა ნაკვალევზე ლაშქრობის შემდეგ პიონერები ერთ კვირას ისვენებდნენ ბორჯომის ხეობაში.

შ. ფარლალავა,
ლაშქრობის მონაწილე, სამამულო ომის ვეტერანი.

როგორ უნდა ვმუშაოგდეთ

☐ მუშაკთა შერჩევისა და განაწილების ფსიქო-ფიზიოლოგიური საფუძვლები
☐ მუშაკთა კვალიფიკაციის ბიბლიოგრაფია
☐ შრომის ხერხებისა და მეთოდების რაციონალიზაცია
☐ სამუშაო ადგილის რაციონალურად მოწყობა

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია

მარქსი წერდა: „ყოველ შუაღლად საზოგადოებრივ, ანუ კოლექტიურ შრომას, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, მეტად თუ ნაკლებად მმართველობა ესაჭიროება... ცალკეული ვიოლინოს დამკვრელი თვითონ ლოტბარობს თავის თავს, ორკესტრს ლოტბარი ესაჭიროება“.

შრომა სპეციფიკური ადამიანური თვისებაა. იგი არც ერთ სხვა ცხოველს არ ახასიათებს. ამიტომ შრომა ამა თუ იმ ზომით ყოველთვის საზოგადოებრივ ხასიათს აგარებდა. ადამიანები დასაბამიდანვე გამუდმებით ზრუნავდნენ შრომის შემსუბუქებაზე, მისი ნაყოფიერების ამაღლებაზე და ყოველივე ამის გამო შრომის უკეთეს ორგანიზაციაზე.

ინდუსტრიული წარმოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სრულიად ამკარა გახდა, რომ აღარ შეიძლებოდა ძველებურად შრომა და მართვა, საჭირო იყო როგორც ერთი, ისე მეორე მოწყობილიყო რაციონალურად. ე. ი. აღარ შეიძლებოდა მუშას ემუშავა მხოლოდ ისე, როგორც შეეძლო და იცოდა, ხოლო წარმოებას გაძღოლოდნენ მხოლოდ პირადი უნარისა და ჩვევების მიხედვით. აუცილებელი გახდა შექმნილიყო სპეციალური მეცნიერება შრომისა და მმართველობის ოპტიმალური ორგანიზაციის შესახებ. ეს მეცნიერება ჩაისახა ამერიკაში XX საუკუნის დამლევს. მან მალე მოიპოვა პოპულარობა და გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში.

შრომისა და მართვის საბჭოთა მეცნიერების დამუშავება დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაუყოვნებლივ. ვ. ი. ლენინმა პირველმა განსაზღვრა სოციალისტური შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, მეთოდები და ფორმები.

უკვე 20-იან წლებში შეიქმნა შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემებზე მომუშავე ათობდე ინსტიტუტი, დაარსდა 6 სპეციალური ჟურნალი — „შრომის ორგანიზაცია“, „შრომის საკითხები“, „შრომის უწყება“, „დრო“, „ორგანიზაციისა და მართვის საკითხები“, „სისტემა და ორგანიზაცია“. ამავე პერიოდში რუსულ ენაზე თარგმნა და გამოიცა უცხოელ ავტორთა — ფ. ტეილორის, გ. ემერსონის, გ. ჩერჩის, ა. ფაიოლის ნაშრომები. მალე გამოჩნდნენ საკმაოდ ავტორიტეტული საბჭოთა სპეციალისტები, დაიწერა და გამოიცა ბევრი საინტერესო ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. გასტევის წიგნი — „როგორ უნდა მუშაობა“,— კ. კერენცევის — „ორგანიზაციის პრინციპები“, ო. ერმანსკის — „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა“, კ. პოპოვის — „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია და ტექნიკა“. საქართველოში გამოვიდა ვ. ჭრელაშვილის სახელმძღვანელო შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ.

ეს მეცნიერება, როგორც ცალკე დისციპლინა, ისწავლებოდა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

30-იან წლებში რატომღაც შეწყდა მთელი ეს მუშაობა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში, როცა ალგამულ იქნა სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი ეკონომიკის მართვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა დასახა სამრეწველო საწარმოთა მართვის ახალი სისტემა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები წინა პლანზე დადგა.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIII ყრილობაზე ხაზგასმით მიუთითა, რომ „ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია ის საკითხი, რომ ყველა ჩვენს საწარმოში დაინერგოს წარმოებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესს“.

ახლა ჩვენს თვალწინ იქმნება, ყალიბდება და ახალ საფეხურზე ადის შრომისა და მართვის საბჭოთა მეცნიერება. მისი სწავლება უკვე შემოღებულია ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტების ეკონომიურ ფაკულტეტებზე. უკანასკნელ ხანს რუსულ ენაზე დაიწერა და გამოიცა ასობით წიგნი, ბროშურა და სტატია. ამ რამდენიმე დღის წინათ გამოცხადდა კონკურსი ორი სახელმძღვანელოს შექმნისათვის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ.

რა არის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია?

როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ლიტერატურაში მოცემულია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ნაირნაირი განმარტება, კამათობენ კიდეც ზუსტი და ამომწურავი განმარტების თაობაზე. ყველაზე დიდ დავას იწვევს ცნების შინაარსის მოცულობა, სახელდობრ თუ რა სფეროებს უნდა მოიცავდეს იგი.

საბჭოთა მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე განმარტება, რომელთაგან ყველაზე მისაღებად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემდეგი:

„შრომის მეცნიერული ორგანიზაცია არის ღონისძიებათა პროცესი ან სისტემა, რომელიც მიმართულია ყველა სახის შრომის მეთოდებისა და პირობების სრულყოფისაკენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომისა და დროის ყოველმხრივ ეკონომიას, რათა თანდათანობით, მაგრამ განუხრელად შემოვიღოთ კომუნისტური დისციპლინა, კომუნისტური შრომა“.

სულ მოკლედ: შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანაა აწარმოო მეტი და უკეთესად იმავე დროში და იმავე ძალღონის დახარჯვით.

უფრო სრულად: შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანებია:

1. მუშაკთა ფსიქო-ფიზიოლოგიური ნიშნებით შერჩევა და განაწილება;
2. მუშაკთა კვალიფიკაციის, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება;
3. შრომის ხერხებისა და მეთოდების რაციონალიზაცია;
4. სამუშაო ადგილის რაციონალიზაცია;
5. შრომის ნორმირების გაუმჯობესება;
6. შრომის სტიმულების გაძლიერება;
7. შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა-განმტკიცება;
8. ახალგაზრდა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განვითარება;
9. მოწინავე გამოცდილების დანერგვა;
10. შრომის პირობების გაუმჯობესება.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ადრე წარმოება მუშისაგან მოითხოვდა უმთავრესად შესაფერი ფიზიკურ თვისებებს. ამიტომ მუშის შერჩევისა და განაწილების დროს მხედველობაში იღებდნენ ორ საწყის ფაქტორს:

1. ფიზიკურ უნარიანობას და 2. გამოცდილება-კვალიფიკაციას. ახლა, წარმოების პროცესის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობები მუშაკისაგან მოითხოვენ მოძრაობის უფრო სრულყოფილ კოორდინაციას. რეაქციის სისწრაფეს, გამახვილებულ ყურადღებას. უახლესი ტექნიკით აღჭურვილ საწარმოში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მუშაობის ტემპი, შრომის პროცესის კონვეიერული სისტემა, რაც ახალ, უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მუშის ფსიქიკურ თვისებებს. ამის გაუთვალისწინებლად კი ჩვენს დროში შეუძლებელია მუშაკთა შერჩევა და განაწილება.

პირველი საკითხია: ფსიქოლოგიურად როგორ ეგუება მუშა მანქანას, მოწყობილობას, რამდენად შეეფერება ტექნოლოგიურ პროცესებს მუშის ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები. ჩვენში ადამიანი მანქანის უბრალო დამატება როდი. იგი დაყენებულ უნდა იქნას ისეთ სამუშაოზე, რომელსაც თვითონ შეეფერება და ყველაზე მეტად „მიუდგება“. ეს შეადგენს არა მარტო წარმოების, არამედ მუშის ინტერესსაც როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით.

როცა მუშას აქვს ახლანდელი რთული შრომის პროცესის სავსებით შესაბამისი თვისებები, მაშინ წარმოება ოპტიმალური ნაყოფიერებით მიმდინარეობს და თვითონ მუშაკიც მორალურ კმაყოფილებას და სიხარულს განიცდის.

აქედან წარმოდგება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კატეგორიული მოთხოვნა: მუშაკები აუცილებლად შერჩეულ იქნნ მათი ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებების მიხედვით.

შეიძლება ესა თუ ის პირი იყოს საფსებით ჯანსაღი და ამასთან დიდი სურვილიც ჰქონდეს დაეუფლოს არჩეულ პროფესიასს, მაგრამ მაინც ვერ შეითვისოს პროფესიული ოსტატობის მინიმუმიც კი. მეცნიერულად გამორკვეული და გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია საკმაო უნარი თუნდაც მისი სურვილით არჩეული საქმისათვის, იგი, ჯერ-ერთი, როგორც წესი, სხვებზე უფრო დიდი სიძნელეით „ეუფლება“ არჩეულ პროფესიას და, მეორეც, სხვებზე უფრო ცუდადაც მუშაობს — ხშირად უშვებს შეცდომებს, უხარისხო პროდუქციას და ხდება ავარიების მიზეზი. ასეთ შემთხვევაში ზარალობს წარმოებაც და მომუშავეც.

აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: პირველი, თავიდანვე არ დააყენთო მუშაკი შეუფერებელ სამუშაოზე და, მეორე, თუ ეს მაინც მოხდა, დროულად გადაიყვანოთ იგი სხვა საქმეზე. არ შეიძლება ადამინი დიდხანს დაეტოვოთ შეუფერებელ ადგილზე.

წინათ და ზოგჯერ ახლაც სამუშაოზე მიღება ასე ხდება: გაავორმებენ დოკუმენტებს კადრების განყოფილებაში; ადმინისტრატორი გამოსცემს ბრძანებას და ახალმედა იგზავნება სამუშაო ადგილზე. ეს ყოველად დაუშვებელია.

ფიზიკურ სამუშაოზე აშკარად ჩანს, რომ მძიმე ტვირთების გადაზიდვისათვის საჭიროა დიდი ძალა და ამიტომ მისი შესრულება არ შეუძლია სუსტს. მაგრამ თვალით ვერ შეამჩნევ, მაგალითად, რა ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები სჭირდება კონვეიერზე მომუშავეს, რიული მანქანის მმართველს, დისპეტჩერს, ზუსტი ხელსაწყოების მკეთებელს.

აქ მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია გაერკვეს.

ამ საქმეში დიდ გამოცდილებას და ნიმუშს იძლევა საბჭოთა არმია. რთულ ტექნიკურ ნაწილებში ჩარიცხვა არავითარ შემთხვევაში არ ხდება მობილიზებულთა შეუმოწმებლად. მათ ატარებენ სპეციალურ კომისიაში, არკვევენ ფსიქოფიზიოლოგიურ თვისებებს და ამის მიხედვით იგზავნებიან — ერთნი საავიაციო ნაწილებში, მეორენი არტილერიაში, მესამენი სატანკო ნაწილებში და ა. შ. ასევე მეცნიერულ საფუძველზე უნდა ხდებოდეს შეშთა შერჩევა და განაწილება წარმოების დარგების სპეციალობების მიხედვით.

ცნობილია, რომ საათების, საიუველირო და ოპტიკური წარმოება მოითხოვს დეტალების ზუსტ მხედველობითს გარჩევას, ხელის თითების ზუსტ და მოქნილ მოძრაობას, ცხადია, მუშების შერჩევისას არ შეიძლება ეს არ იქნას გათვალისწინებული. ასეთ საწარმოში არ გამოდგება მხედველობადაქვეითებული, ბლაგვი თითების მქონე ადამიანი. არის საწარმოები, სადაც საჭიროა მახვილი სმენა, სწრაფი რეაგირება, გადაწყვეტილების წამსვე მიღება. ასეთ სამუშაოებზე შეაფერისი თვისებებია მქონე ადამიანებია საჭირო.

არის საწარმოები, საამქროები, საერთოდ შრომის სახეობა, სადაც შრომის პროცესი კარგ მეხსიერებას მოითხოვს. ე. ი. ინფორმაციას რომ მიიღებს, მომუშავეს მაშინვე კი არ სჭირდება გადაწყვეტილების მიღება, მოქმედება, არამედ გარკვეული დროის შემდეგ. ამ შემთხვევაში მეხსიერება წყვეტს საქმეს.

ეს საკითხი მსოფლიო ფსიქოლოგიაში დაამუშავეს საბჭოთა და ფრანგმა მეცნიერებმა. მათ შექმნეს თეორია ორი მეხსიერების — „ოპერატიული“ და „ხანგრძლივი“ მეხსიერების შესახებ. ადამიანთა შრომითი საქმიანობის ერთ დარგში ერთ მეხსიერებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, მეორე დარგში — მეორეს, მესამეში ორივე საჭირო.

ახალგაზრდებმა ყოველთვის როდის იცინან, რის უნარი აქვთ, რა საქმეში უფრო გამოდგებიან. მათ არ იციან რომელი პროფესია ადამიანის რა ფსიქო-ფიზიოლოგიურ თვისებებს მოითხოვს. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს მათ: გამოარკვიოს მათი ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებები და ამის მიხედვით მისცეს რეკომენდაცია, თუ ვინ რა პროფესიას უფრო შეეფერება. ეს წესი მტკიცედ უნდა დაიცვან პროფესიული განათლების სკოლებმა, სადაც დიდი რაოდენობით მზადდებიან მუშაკები ჩვენი მრეწველობისათვის.

ფილოსოფოსი ბეკონი ამბობდა: „ჩვენ იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცით“. ეს სიბრძნე ასეც არის გამოთქმული: ადამიანები აკეთებენ არა ისე, როგორც ეუნზენიან, არამედ როგორც იციან. ამიტომ მმართველობა გამუდმებით უნდა ზრუნავდეს მუშათა კვალიფიკაციის, მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაზე.

მას შემდეგ, რაც მუშაკები შერჩეული და განაწილებული არიან ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძირითად ამოცანად იქცევა პროფესიული დახელოვნების მუდმივი სრულყოფა-განვითარება. ეს შრომისნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი შინაგანი რეზერვია და იგი აინტერესებს როგორც წარმოებას, ისე ყოველ ცალკე მუშაკს. მომუშავეს უნდა ჰქონდეს პერსპექტივა — ადიოდეს კვალიფიკაციის კიბის სულ უფრო მაღალ საფეხურებზე. მაშინ ვითარდება წარმოებისადმი ერთგულება, ინიციატივა.

მმართველობა დიდად უნდა ზრუნავდეს კარგად მოაწყოს შიდა საწარმოო სწავლება, ტექნიკური წრეები, სკოლები. ასევე ხელი უნდა შეუწყოს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშათა სწავლას ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. კარგად მოწყობილ საწარმოებს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ხუთწლიანი გეგმებიც კი აქვთ და ისევე დაუცხრომლად ზრუნავენ მათს განხორციელებაზე, როგორც საწარმოო გეგმის შესრულებაზე.

ამგვარად ეს რაციონალური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს.

ყოველი ნაყოფიერი შრომა წარმოადგენს საერთოდ ტვინის, ნერვების, კუნთების ენერგიის მიზანშეწონილ ხარჯვას, ე. ი. ენერგიის ისეთნაირ ხარჯვას, რომელიც ქმნის გარკვეულ სახმარ ღირებულებას. ამავე დროს ყოველი კონკრეტული შრომა სრულდება გარკვეული ხერხებითა და მეთოდებით, და ეი მთელი საქმეა ის, თუ რამდენად რაციონალურად არის მოწყობილი შრომის პროცესი.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანიშნულებაა შესწავლილ იქნას შრომის პროცესი, მოიშუშაგის ხერხები და მეთოდები და შრომის პროცესიდან განიდევნოს ზედმეტი, არა აუცილებელი მოძრაობანი, ნაკლებ ეფექტური მოძრაობანი შეიცვალოს უფრო ეფექტურით. ერთი სიტყვით, მომუშავე უსარგებლოდ არ უნდა ხარჯავდეს არავითარ ენერგიას. ყოველი მისი მოძრაობა უნდა იყოს სავსებით მიზანშეწონილი, სავსებით აუცილებელი, მარჯვე და ეფექტური.

ყოველი მუშა დაინტერესებულია ასე რაციონალურად მუშაობდეს, მაგრამ ეს ყველას როდი შეუძლია. იგი მუშაობს როგორც იცის და როგორც შეუძლია, ხშირად ბრმა ჩვევების მიხედვით. ამას ბევრგან არ აქცევენ ყურადღებას. მოითხოვენ მისგან მაღალნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ არ ასწავლიან შრომის სრულყოფილ ხერხებსა და მეთოდებს.

ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი. ყველა დაგვერწმუნება, რომ დღევანდელი კალატოზი თითქმის ისევე მუშაობს, როგორც მუშაობდნენ 50 წლის წინათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამუშაო კვალიფიკაციის კალატოზი სამუშაო დღის განმავლობაში აწყობს 700-800 ცალ აგურს, მაშინ როცა შრომის რაციონალურად მოწყობის პირობებში შეეძლო დაეწყო არანაკლებ 2000 ცალისა. კალატოზის შრომის ნაყოფიერების ასეთი დაბალი დონე გამოწვეულია იმით, რომ მას არავინ არ ასწავლის, არავინ ეხმარება დასვეწოს, სრულყოს მუშაობის ხერხები. უბრალო დაკვირვებაც კი გვიჩვენებს, რომ კალატოზი აკეთებს ბევრ არასაჭირო, ზედმეტ მოძრაობას აგურების დაწყობისათვის. ჩვეულებრივად კალატოზი მეტწილად მუშაობს ცალი ხელით — მარჯვენათი. იგი ბათქაშს ქაფრით იღებს მარჯვენა ხელით, აგურები უყრია მარჯვნივ, ამიტომ იღებს მარჯვენა ხელით, დებს, ასწორებს ამავე ხელით. დამხმარე მუშა აგურებს ულაგებს ისეთ სიმაღლეზე, რომ კალატოზს ყოველი აგურის ასაღებად დაუნევა უხდება. ასეთი მუშაობით იგი ხარჯავს ზედმეტ ენერგიას, მაღე იღლება და მისი შრომის ნაყოფიერება ნაკლებია.

თუ შრომა ისე მოეწყობოდა, რომ კალატოზს აგურებს მარცხნივ დაეწყობდნენ, იგი ბათქაშს დაასხამდა მარჯვენა ხელით, აგურს აიღებდა მარცხენთი, ამავე ხელით დადებდა, მარჯვენა ხელით დააჭერდა მას და გასწორებდა. ამასთან თუ აგურებს დაულაგებდნენ წელის სიმაღლეზე, არ დასჭირდებოდა წარამარა დაღუნვა. ასეთ პირობებში კალატოზი თავიდან აიცილებდა ზედმეტ მოძრაობებს, მუშაობა წარიმართებოდა ორივე ხელით, იგი ნაკლებად დაიღლებოდა, შრომის პროცესი დარქარდებოდა, შრომის ნაყოფიერება ერთიორად ამაღლდებოდა.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ეს ერთი, გავრცელებული მაგალითი. მაგრამ ამავე წესით შეიძლება შესწავლილ იქნას ყოველი სპეციალობის მუშის შრომის ხერხები და მეთოდები და მოხდეს მათი რაციონალიზაცია.

მეცნიერული ანალიზის შედეგად დადგენილი შრომის პროცესი ფიქსირებულ უნდა იქნას წერილობით და იგი უნდა შევასწავლოთ ყოველ მუშას, გავუწიოთ მას სისტემატური ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟი უნდა ეძლეოდეს განსაკუთრებით ახლად შეიყვანილ მუშებს, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილებს. ინსტრუქციის დროს მუშას უნდა გაეცნოს არა მარტო შრომის რაციონალური ხერხები და მეთოდები, არამედ აგრეთვე დანაკარგების ნორმების შემცირების საშუალებები, პროდუქციის აუცილებელი ხარისხობრივი მაჩვენებლები, სითბოსა და ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის წესები, მანქანებისა და მოწყობილობის მოვლის პირობები და სხვ.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროების, კომისიებისა თუ განყოფილებების უპირველესი ამოცანაა დასახოს დროის ეკონომიის ეფექტური ღონისძიებანი და ისე წარმართოს შრომის პროცესი, რომ იგი ადამიანის რაც შეიძლება ნაკლები ენერგიის ხარჯვით მეტ შედეგს იძლეოდეს.

მუშაობა სწორად შერჩევისა და განაწილების შემდეგ, როცა ისინი სწორად არიან განლაგებული, უკვე მთავარი ხდება სამუშაო ადგილის რაციონალურად მოწყობა, ე. ი. შრომის პროცესში მომუშავის ჩაყენება ფსიქო-ფიზიოლოგიური მიზანშეწონილობის მიხედვით.

შრომის ფსიქოლოგიურად სწორად მოწყობა გულისხმობს

1. თუ მუშაობა კონვეიერზე წარმოებს, დროდადრო შეიცვალოს მუშაობის ტემპი. ეს შეანელებს მონოტონურობას.
2. მუშამ უნდა აითვისოს კონვეიერზე მუშაობის რამდენიმე ოპერაცია, რათა სამუშაო დღის განმავლობაში 3-4-ჯერ მაინც შეიცვალოს შრომითი ოპერაცია. ეს გამოიწვევს დაძაბულობის განაწილებას სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. ასეთი ცდები დაყენებულ იქნა ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკში“ და ამ წესის დაცვით შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით ამაღლდა.
3. მონოტონური შრომის დროს საჭიროა ხშირი და ხანმოკლე შესვენებები, სადაც კი ამის საშუალებას იძლევა მუშაობის კონკრეტული პირობები.
4. მონოტონურობით გამოწვეული ინტერესების შენელებისა და დაღლილობის გაქარწყლებისათვის იყენებენ საწარმოო ფიზკულტურასა და მუსიკას, რომელთა როლზეც ცალკე ღირს ლაპარაკი.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი მოძრაობისა და მოშუშავის პოზის რაციონალიზაციას. შრომის ფიზიოლოგიას უკვე აქვს ზოგი ანგარიშგასაწევი და ადვილად განსახორციელებელი დასკვნა ამ საკითხში. დადგენილია, მაგალითად, რომ შრომა სჯობს მჯდომარე, ვიდრე მდგომარე. მაგრამ არა განურჩევლად და არა ყველა პირობებში. აქ ასეთი რეკომენდაცია არის მოცემული: თუ მუშაობის დროს ძალღონე არ აღემატება 5 კილოგრამს, სჯობს მჯდომარე მუშაობა, თუ ძალღონე 10-მდე კილოგრამია, მდგომარეც და მჯდომარეც, ხოლო თუ ძალღონე 10 კილოგრამს აღემატება, მუშაობა უნდა იყოს აუცილებლად მდგომარე. პირველ ორ შემთხვევაში სასურველია მონაცვლეობით მჯდომარე და მდგომარე მუშაობა, რათა დატვირთვა არ აწვებოდეს სხეულის ერთსა და იმავე ნაწილებს.

უმძიმესი პოზაში მუშაობა მავნებელია, შეიძლება განვითარდეს პროფესიული დაავადება. ეს ერთნაირად ეხება როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას.

ხანგრძლივი მჯდომარე მუშაობისას ცუდად მოქმედებს სასუნთქი ორგანოები, ცუდია სისხლის მიმოქცევა, შესაძლოა ხერხემლის გამრუდება. ეს ხშირად ემართებათ გონებრივ მუშაკებს. აუცილებლად საჭიროა ხანგამოშვებით შეიცვალოთ პოზა, ცოტა გაიარ-გამოიარო.

მიზანშეწონილია მუშაობა ისე მოეწყოს, რომ მასში მონაწილეობდეს ორივე ხელი მონაცვლეობით ან ერთდროულად. ამის მიღწევა შეიძლება ორი გზით: ერთი სულ უბრალოდ — მიეჩვიო ორივე ხელით მუშაობას, მეორე — მანქანა-მოწყობილობის ისეთი კონსტრუქციით, რომელიც ორივე ხელით მუშაობის საშუალებას იძლევა. შემოწმებულია, რომ ფეხსაცმლის საწარმოში მარჯვენა ხელით შრომისას იგი 12-ჯერ უფრო გადატვირთულია, ვიდრე მარცხენა ხელი. როცა მანქანის მჭრელი ნაწილები გადადგილეს მარცხენა მხარეს და გაჩნდა მარცხენა ხელით მუშაობის საშუალება, შრომის ნაყოფიერება ორჯერ გაიზარდა, თანაც მარჯვენა ხელი გაცილებით ნაკლებად იღლებოდა. ხელების ნაკლებად დაღლისათვის საჭიროა მარჯვენა ხელით ასაღები საგნები ეწყოს მარჯვნივ, მარცხენა ხელით ასაღები — მარცხნივ. ამასთან საგნები უნდა ელაგოს თვალიდან 35 სანტიმეტრის დაშორებით.

ფიზიოლოგებმა დაამტკიცეს აგრეთვე, რომ ადამიანი მინიმალურ დაღლას გრძნობს, როცა მისი ხელები მოძრაობს იატაკიდან 80-120 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ასევე გამორკვეულია, რომ ნაკლებ ეკონომიურია ხელების პირდაპირხაზოვანი მოძრაობა, უფრო ეკონომიურია ხელების წრისებური მოძრაობა, რომელიც 45 გრადუსიან კუთხით წარმოებს. ეს მეცნიერული დასკვნები გათვალისწინებულ უნდა იქნას სამუშაო ადგილის მოწყობისას. მაგალითად: სამუშაო დაზგა, მაგიდა ისეთი უნდა იყოს, რომ მდგომარე მუშაობისას ხელები მოძრაობდნენ იატაკიდან 80-120 სანტიმეტრის სიმაღლეზე, საჭირო სამუშაო იარაღები, მოწყობილობა განლაგებული იყოს კარადებში, თაროებზე მუშის ასლოს იმ წესით, რომ ხელებს უხდებოდეთ ისეთი მოძრაობა, როგორიც ზემოთ იყო აღწერილი. მომუშავეს არ უნდა უხდებოდეს იარაღების, მასალებისათვის სიარული, ზედმეტი მოძრაობა.

როცა ადამიანი შრომის რომელიმე ოპერაციას ისე ეჩვევა, რომ მას რეფლექტორულად ასრულებს, ეს დიდი პლუსია, რადგან არ იღლება ცენტრალური ნერვული სისტემა. ამგვარ სამუშაო ადგილის, გარემოს, კვების, დასვენებისა და სხვა პირობების ისეთნაირად მოწყობას, რომ ადამიანის დაძაბულობა რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ხოლო შრომისუნარიანობა ხანგრძლივი და ინტენსიური.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ნ. ვვედენსკიმ თქვა: „ჩვენ ვიღლებით და ვიქანცებით არა იმიტომ, რომ ბევრს ვმუშაობთ, არამედ იმიტომ, რომ ცუდად ვმუშაობთ, არაორგანიზებულად ვმუშაობთ, უუნაროდ ვმუშაობთ“.

შრომის ფსიქო-ფიზიოლოგიურად სწორად მოწყობა მიზნად ისახავს უზრუნველყოფილ იქნას დაძაბულობის ოპტიმალური დონე. მის შენარჩუნებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. საჭიროა მათი ცოდნა და უნარიანი გამოყენება. ავიღოთ შრომის მონოტონურობა — ერთფეროვნება. ასეთი შრომა ნაკლებ საინტერესოა, ამ დროს სუსტია ფსიქ

საბჭოთა პროექტით

დამასკი, 8 აგვისტო. (საკადესი). „ტარტუს-აკარის რკინიგზის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და დამთავრდება დანიშნულ ვადაში“, — განუცხადა მშენებლობის ხელმძღვანელმა სირიის კომუნიკაციის მინისტრს სამიჰ ატიიას, რომელიც მშენებლებს ეწვია. ტარტუს-აკარის რკინიგზის ხაზი შენდება საბჭოთა პროექტით, რომელშიც გამოყენებულია საბჭოთა მასალები და მოწყობილობა და უშუალოდ მონაწილეობენ საბჭოთა სპეციალისტები. ეს ხაზი სირიის ტარტუს ახალ ნავსადგურს დაუკავშირებს არსებულ რკინიგზას და დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ ქვეყნის კომუნიკაციების განვითარებაში.

არაბ და საბჭოთა სპეციალისტებთან საუბარში სამიჰ ატიიამ გულითადი მადლობა გადაუხადა მშენებლებს შრომაში მოპოვებული მაღალი წარმატებებისათვის. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სირიის ეკონომიური ცხოვრებისათვის.

მეგობრობა საერთო გრძოლაში იშვა

კაირო, 9 აგვისტო. (საკადესი). „საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა იშვა საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. იგი მტკიცდებოდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის 1956 წლის სამთა აგრესიის ძნელ პერიოდში, ასუანის კაშხალისა და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა სამრეწველო ობიექტის მშენებლობის დროს, — განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალმა მუჰამედ ნასერმა, როცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილ საღამოზე გამოდიოდა. ნასერმა მაღალი შეფასება მისცა პოზიციას, რომელიც საბჭოთა კავშირს ეკავა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის ამასწინანდელი აგრესიის დროს, რაც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარდაჭერით მოხდა.

ერაყ-ბულგარეთის კომუნიკე

ბაღდადი, 9 აგვისტო. (საკადესი). ერაყში ვიზიტად იყო ბულგარეთის ეკონომიური დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლუჩეზარ ავრამოვის მეთაურობით. ვიზიტის დამთავრების შემდეგ აქ გამოქვეყნდა ერაყ-ბულგარეთის ერთობლივი კომუნიკე. კომუნიკეში აღნიშნულია: ერაყის ეკონომიკის განმტკიცების, ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში ერაყისადმი დახმარების მიზნით სოციალისტური ქვეყნების მომზე პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა ბუდაპეშტის თათბირზე მიღებული რეზოლუციის შესაბამისად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ერაყს გაუწევს ეკონომიურ დახმარებას. ორივე მხარემ, ნათქვამია კომუნიკეში, ენერგიულად დაგმო ისრაელის აგრესია და ხაზი გაუსვა ამ აგრესიის შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობას.

მავრიკის კუნძულზე გამართული არჩევნების შედეგები

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკადესი). დღეს ცნობილი გახდა მავრიკის კუნძულის საკანონმდებლო კრების არჩევნების საბოლოო შედეგები. კრებაში ადგილების უმრავლესობა — 39 ადგილი 62-დან მიიღო ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელიც მავრიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომხრეა. დანარჩენი 23 ადგილი მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც დამოუკიდებლობის წინააღმდეგია.

არჩევნების შედეგად კუნძული მიიღებს თვითმმართველი ტერიტორიის სტატუსს, ექვსი თვის შემდეგ კი მავრიკის კუნძული დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება.

რასისტი „პრემიერ“ პიროგებს აყენებს

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკადესი). როდეზიელ რასისტთა მეთაური იან სმიტი მოითხოვს, რომ დიდმა ბრიტანეთმა ცნოს როდეზიის „დამოუკიდებლობა“, სანამ დაიწყებოდეს მოლაპარაკება როდეზიის საკითხის მოწესრიგების შესახებ. გაზეთ „დეილი ექსპრესის“ სოლსბერელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სმიტმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ვილსონს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სულაც არ მალავს თავის განზრახვას, რომ მოლაპარაკების დროს ძალის პოზიციას დაადგება და უკარნახებს შეთანხმების პირობებს.

დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში, აღნიშნავს გაზეთი, ფიქრობენ, რომ სმიტის წერილი ვერ დაედება საფუძვლად „ახალ და ნაყოფიერ მოლაპარაკებას როდეზიის პრობლემის მოწესრიგების შესახებ“, „სმიტმა წამოაყენა პირობები, რომლებსაც ვილსონი ვერ დაუთანხმება პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, როგორც უნდა ცდილობდეს საბოლოოდ მოაწესრიგოს როდეზიის პრობლემა, — წერს „დეილი ექსპრესი“.

ნაგასაკის ფიცი

ტოკიო, 9 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი იური ვდოვინი იუწყება:

უსიტყვოდ გარინდულა ნაგასაკის 420 ათასი მცხოვრები. ისინი იგონებენ იმათ, ვინც დაიღუპა აქ 1945 წლის 9 აგვისტოს. 11 საათსა და 02 წუთზე, სწორედ იმ დროს, როცა ქალაქს თავს დაატყდა ატომის ქარიშხალი, — გაისმა ქალაქის საწარმოთა სირენების ხმა, რეიდზე მდგარ გემების სიგნალები, დაიწყო ტაძრების ზარების რეკვა, ცოცხლები დაღუპულთ იგონებდნენ და ფიცს დებდნენ, რომ არ დაუშვებენ იაპონელი ხალხის ტრაგედიის განმეორებას.

ქალაქის მშვიდობის პარკში, რომელიც ატომური ბომბის აფეთქების ეპიცენტრის მახლობლად მდებარეობს, დამომბვის მსხვერპლთა ძეგლთან შეიკრიბა ხუთი ათასზე მეტი ნაგასაკელი და იაპონიის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები. წუთიერი სამგლოვიარო დუმილის შემდეგ ქალაქის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა გუნდმა შეასრულა სიმღერა „ნაგასაკი ნარჩუნებლად. მშვიდობისათვის მოუწოდებს“. 22 წლის წინათ ამ სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე დაიღუპა სხვა 73 ათას ნაგასაკელთან ერთად. დაღუპულთა ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. ქალაქის მერმა იოსიტაკე მორიტანმ შეკრებილთ წაუკითხა „მშვიდობის ლიუ მაო-ცის დეკლარაცია“. მოელი იაპონელი ხალხისათვის ამ სამახსოვრო დღეს, ნათქვამია დეკლარაციაში, გაცხადებთ, რომ ვემობთ ომს და ვფიცავთ ყოველ ღონეს ვიხმაროთ მშვიდობის შესანარჩუნებლად.

საბჭოთა ტრაქტორები ინდოეთში იგზავნება

დელი, 9 აგვისტო. (საკადესი). ინდოეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა შინდემ სახალხო პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა განიხილავს საბჭოთა კავშირიდან ტრაქტორების დამატებითი პარტიის იმპორტის საკითხს. ნაყიდი 2 ათასი ტრაქტორიდან ათასი მანქანა უკვე მიიღეს მომხმარებლებმა. ამჟამად ინდოეთის მთავრობას განიხილული აქვს შეძენილ კიდევ 4.000 ტრაქტორი.

ჩამოგდებულია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ჰანოი, 8 აგვისტო. (საკადესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემული დამატებითი მონაცემებით, ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის მეომრებმა კუანგნინის, ნინბინის, თხანჰოისა და კუანგბინის პროვინციებში 28 ივლისს, 4, 5, 6 და 7 აგვისტოს ჩამოაგდეს კიდევ ექვსი თვითმფრინავი.

ამრიგად, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულმა ამერიკის თვითმფრინავების რიცხვმა 2.154 მიაღწია.

ვიეტნამი იბრძვის

მოსკოვის მეგობრობის სახლში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლასა და შრომაზე. უამრავი ფოტოსურათი მოწმობს ვიეტნამელ პატრიოტთა მამაცობას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ფოტოსურათების დიდი სერია მიძღვნილია სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეომრების საბრძოლო მოქმედებისადმი.

სურათებზე: მარჯვნივ — მტერზე გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა კომუნიკაციაზე ნორმალური მოძრაობის უზრუნველყოფას. ზემოთ — სამშობლოს ცის სადარაჯოზე.

ფოტო ვიეტნამელი ამხანაგების საგენტოსი.

სინგაპურის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული

სინგაპურის პრემიერ-მინისტრის გამოსვლა

◆

სინგაპური, 9 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი ვ. ნადაშკევიჩი იუწყება:

დღეს სინგაპური მორთულია ეროვნული ალმებით — ახალგაზრდა რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს შექმნის მეორე წლისთავს. პარლამენტის შენობის წინ ცენტრალურ მოედანზე გაიმართა შეიარაღებული ძალების პარადი, რომელიც გახსნა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, და სინგაპურელთა დემონსტრაცია. ტრიბუნებს, სადაც იყვნენ სინგაპურის მთავრობის წევრები, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები და საზღვარგარეთელი სტუმრები, ჩაუარეს სტუდენტთა, მოსწავლეთა სინგაპურის სპორტულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

სინგაპური, 9 აგვისტო. (საკადესი). „ორი წელია მას შემდეგ, რაც სინგაპური გამოვიდა მალაიზიის ფედერაციიდან, და ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში“, განაცხადა სინგაპურის პრემიერ-მინისტრმა ლი კუან იუმ, როცა ტელევიზიით გამოდიოდა რესპუბლიკის შექმნის ორი წლისთავის გამო.

ამ წლების მანძილზე, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური მატება, 6-9 პროცენტს შეადგენდა. მნიშვნელოვნად გადიდდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. 18 პროცენტით გაიზარდა მრეწველობის პროდუქციის მოცულობა და სამრეწველო საქონლის ექსპორტი. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი განათლების, შშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში. მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრის შემდეგ სინგაპურის წინაშე სხვა პრობლემებიც წამოიჭრა, თქვა ლი კუან იუმ.

ასეთ პრობლემათა შორის დაასახელა მან ინგლისის შეიარაღებული ძალების გაყვანა სინგაპურიდან და უმუშევრობა, რომელიც თანდათან მატულობს. შარშან სინგაპურში 43 ათასი უმუშევარი იყო.

ინგლისს ჩამორჩენა არ უნდა

ლონდონი, 8 აგვისტო (საკადესი). ინგლისში სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დიდი ბრიტანეთი ჩამორჩება კომუნისტური სივრცის კელვის დარგში. ინგლისი ვერ დაიკვეხნის მნიშვნელოვან მიღწევებს ამ დარგში, მას არა აქვს არც ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებდა კოსმოსურ კვლევას, არც მიზანდასახული პროგრამა, ზუსტი დასკვნა გამოაქვს მთავრობის ხარჯების დაგიგეგმვისა და შესწავლის საპარლამენტო კომიტეტს. დღეს კომიტეტმა გამოაქვეყნა თეთრი წიგნი, რომელშიც წერს, რომ ინგლისი დამაკიდებულია შეერთებულ შტატებზე, აგრეთვე ევროპის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციაზე.

კომიტეტი ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კვლევას და რეკომენდაციას იძლევა შემუშავდეს კონკრეტული ეროვნული პროგრამა და ტექნიკის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნას კოსმოსის კვლევის სპეციალური ორგანიზაცია. ამ მიზნით უნდა გამოიყოს 30-35 მილიონი გირვანქა სტერლინგი პირველი ხუთი წლისთვის. რეკომენდებულია აგრეთვე გორკოვედს ხარჯები იმ სამეთაოთა საწარმოებლად, რომ შეიქმნას საიმედო ინგლისური რაკეტა დედამიწის გარშემო ორბიტაზე კავშირგაბმულობის თანამგზავრების გასაყვანად.

კომიტეტმა გამოთქვა აზრი, რომ უნდა შემცირდეს ინგლისის ფინანსური წვლილი კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო სამუშაოებში, კერძოდ, ევროპის კოსმოსური რაკეტების მშენებლობისა და გაშვების ორგანიზაციაში, რათა განთავისუფლდეს სახსრები ეროვნული პროგრამისათვის.

საზოგადოებრიობის ნების საწინააღმდეგოდ

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი ჯ. ფრიმენი იუწყება:

პრეზიდენტ ჯონსონის გადაწყვეტილება ვიეტნამში კიდევ სულ ცოტა 45000 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შესახებ გამოცხადდა იმ ვითარებაში, როცა „ბინძური ომი“ სულ უფრო არაპოპულარული ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საზოგადოებრიობის განწყობილების შეცვლის ერთ-ერთი მაჩვენებელია გელაპის ინსტიტუტის მიერ ივლისის შუა რიცხვებში მოწყობილი გამოკითხვის შედეგები, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა. გამოკითხულთა 56 პროცენტის აზრით შეერთებული შტატები ან აგებენ ომს, ან ომის ჩიხში მოიმწყვდნენ. უფრო მეტიც, გამოკითხულთა 41 პროცენტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სწორად არ მოიქცნენ, როცა ჯარები გაგზავნეს ვიეტნამში. შედარებისათვის ვიტყვით, რომ 1965 წლის აგვისტოში ასეთი აზრი გამოთქვა მხოლოდ 24 პროცენტმა.

სამშვიდობო განწყობილების გაძლიერებას მოწმობს კამპანია „ვიეტნამის ზაფხულის“ წარმატებაც. კომიტეტის მოწოდებით, რომელშიც ბევრი თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწე შედის, 26000 მოხალისე—სტუდენტები, მძღვლები, სპეციალისტები და სხვ. გაეგზავნენ ამერიკის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში და ახლა იქ ეწევიან ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო კამპანიას.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობის გაძლიერებამ აიძულა ზოგიერთი მოღვაწე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ომს ან სდუმდნენ, გაელაშქრა მის წინააღმდეგ. მაგალითად, სენატორმა ფრენკ ლაუშემ, რომელიც აქამდე „სამხედრო ქორების“ მხარეზე იყო, მოუწოდა შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ეპისკოპოსი ფულტონ შინი, რომელიც კომუნიზმის ძველი მოწინააღმდეგეა, დაბეჯითებით მოითხოვს გაიყვანონ ამერიკის ჯარები ვიეტნამიდან.

მზარდი წინააღმდეგობა სავიეტნამო ავანტიურისადმი სერიოზულ სიძნელეებს უქმნის პრეზიდენტ ჯონსონს დემოკრატიულ პარტიაში. ამას წინათ გადამდგარი არმიის გენერალი ჯეიმს გეკინი — ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საფრანგეთში, გამოვიდა დემოკრატიული პარტიის მასაჩუსეტის შტატის საკონსულტაციო საბჭოდან. მან განაცხადა, რომ ვიეტნამის ომის ესკალაციის წინააღმდეგია და მხარს არ დაუჭერს ჯონსონს მომავალ წელს პრეზიდენტის არჩევნების დროს. ვიეტნამის ომი, განაცხადა გეკინმა, „დამღუპველად მოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე“.

კიდევ უფრო საგულისხმოა განცხადება, რომელიც დემოკრატიული პარტიის 50 აქტივისტმა გააკეთა. განცხადებაში პრეზიდენტ ჯონსონს მოუწოდებენ ნუ ეცდება ხელახლა არჩევას ომის გამო, რომ სახელი უტყდება მის სავიეტნამო პოლიტიკას.

დემოკრატიული პარტიის რიგებში უმაყოფილონი არიან მთავრობის პოლიტიკის გამო. ამას მოწმობს ისიც, რომ ამ პარტიის „ლიბერალური“ ფრთის ლიდერს ჯოზეფ როუს განზრახული აქვს მომავალ წელს პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანოს მოწოდება ბოლო მოელოს „ბინძურ ომს“.

უმნიშვნელო წინადადებანი

ვაშინგტონი, 8 აგვისტო (საკადესი). სენატორებმა ჩარლზ პერსიმ (რესპუბლიკელი, ილინოისის შტატი) და ალბერტ რიბიკოვმა (დემოკრატი, კონექტიკუტის შტატი) კონგრესის განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1.1 მილიარდი დოლარის გამოყოფას ზანგთა გეტოებში „დაძაბულობის შენელებისა“ და „ამბოხებათა“ თავიდან აცილებისათვის. ეს თანხა სამჯერ ნაკლებია მთავრობის იმ ხარჯებზე, რასაც იყენებს ვიეტნამის ბინძური ომისათვის მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ კანონპროექტის ერთ-ერთ თანაავტორს სენატორ რიბიკოვს არაერთხელ განუცხადებია წინათ, რომ ზანგთა ჯურღმულებში მცხოვრებთა წინაშე მდგომი სოციალური და ეკონომიური პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა ათობით მილიარდი დოლარი.

სენატორთა კანონპროექტი ნაკარნახევია უფრო მისწრაფებით, რომ შესუსტდეს ზანგთა მასების გულისწყრომა და აღშფოთება, ვიდრე სურვილით გადაიჭრას ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. მაგრამ, აქაურ მიმმხილველთა აზრით, ეს კუდმოკვეცილი ღონისძიებაც კონგრესში კონსერვატიული წრეების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდება.

ამერიკის შეერთებული შტატები „ავადმყოფი საზოგადოებაა“

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო (საკადესი). შეერთებული შტატები „ავადმყოფი საზოგადოებაა“, განაცხადა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უილიამ ფულბრაიტმა პონოლულუში „ამერიკის ადეოკატთა ასოციაციის“ მე-19 ყრილობაზე გამოსვლისას.

ფულბრაიტმა აგრესიულ ომს ვიეტნამის წინააღმდეგ და მოლეკარეობას ამერიკის ქალაქებში ამ ავადმყოფობის ნიშნები უწოდა. მან მკაცრად გააკრიტიკა ჯონსონის მთავრობის განცხადებები, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ვიეტნამში იომონ და ამასთანავე თავიანთი სერიოზული საშინაო სოციალური პრობლემებიც გადაჭრან. ვიეტნამის ომი, ხაზგასმით აღნიშნა სენატორმა, „აგვიშლამავს და კიდევ უფრო გვიუხეშებს ცხოვრებას საშობლოში... დიადი საზოგადოება ავადმყოფი საზოგადოება გახდა“.

კანადელ-ამერიკელებმა ბიგლი გაიზარეს...

ოტავა, 9 აგვისტო. (საკადესი). ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებმა კანადაში არ გაატარეს შეერთებული შტატებიდან მოსული ამანათები მედიკამენტებითა და ქირურგიული ინსტრუმენტებით, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებას ეგზავნებოდა.

სამედიცინო ამანათები განკუთვნილი იყო სამოქალაქო მოსახლეობისთვის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დაბომბა. მედიკამენტები შეიძინეს სახსრებით, რომლებიც ამერიკის კვაკერთა ორგანიზაციებმა შეაგროვეს.

ამერიკელ კვაკერთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მედიკამენტების ამ პარტიას ისინი უგზავნიდნენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ხიროსიმის ატომური დაბომბვის 22 წლისთავის წინ. მაგრამ კანადელმა მებაჟეებმა ამანათები საზღვარზე დააკავეს და მოითხოვეს ვაშინგტონის ნებართვა „ამ ქონების ექსპორტისათვის“.

ომის სასამართლო პროცესი

ბონი, 8 აგვისტო. (საკადესი). ომის სასამართლოს დარბაზის კედელზე ჰკიდია დიდი სქემა, რომელიც ამჟღავნებს, თუ სად იყო განლაგებული ჰიტლერელთა ჯარების მიერ დოლებით ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე სს-ის, გესტაპოსა და სისხლის სამართლის პოლიციის დაწესებულებანი. განსასჯელის სკამზე სამი იმათგანია, ვინც ამოქმედებდა ამ სახალხო მეურნეობის, მეურნეობის, რომლის დანიშნულება იყო ადამიანთა მასობრივი მოსპობა.

ზედიზედ გამოდიან მოწმენი, რომლებიც აქ ბევრი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. მათი ჩვენებანი შეუქმნიათ ფიენენ განსასჯელთა — ყოფილ სს-ელთა კუნდეს, ჰენრიხისა და მიულერის სულ ახალ-ახალ ბოროტმოქმედებას.

1942-1943 წლებში ეს ნაცისტები აქტიურად მონაწილეობდნენ კრაკოვის 40 ათასი მშვიდობიანი მცხოვრების, აგრეთვე ამ ქალაქის მახლობლად აშენებული საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეთა მასობრივ მოსპობაში. სს-ელი ჯალათები პირადად ხვრეტდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

მოწმეებმა თქვეს მაგალითად, რომ ერთხელ ჰიტლერელები შეიჭრნენ კრაკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ეზოში გამოთრიეს 40 ავადმყოფი მოხუცი და ექვე დახვრიტეს ისინი. ამ „ოპერაციაში“ აქტიურად მონაწილეობდნენ კუნდე და ჰენრიხი. გარდა ამისა, მათ საკუთარი ხელით დახვრიტეს ადამიანები როგორც ცალ-ცალკე, ისე ოჯახობით.

კილეს პროცესი გრძელდება.

საბჭოების ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვა

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე უპასუხებს სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი **ვიტალი ანდრიას-ძე ბელიაევსკი.**

◇

— გთხოვთ გვიამბოთ, რით არის გამოწვეული იმის საჭიროება, რომ ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო თავდაცვისათვის მოემზადოს, და რას წარმოადგენს სსრ კავშირის ახლანდელი სამოქალაქო თავდაცვა, რა არის მისი ამოცანები?

— საბჭოთა კავშირს საიმედო თავდაცვა რომ ჰქონდეს, ამის აუცილებლობას იწვევს ის, რომ სულ უფრო რთულდება საერთაშორისო ვითარება. მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები განაგრძობენ საშიშ გამალებულ შეიარაღებას, აგრეთვე ატომური იარაღის მარაგს, რომ სამხედრო ძალით მიაღწიონ თავიანთ იმპერიალისტურ, ანტიხალხურ მიზნებს. ამერიკის იმპერიალიზმი უკვე მერამდენე წელია აწარმოებს ბინძურ ომს ვიეტნამში. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტულმა წრეებმა მოამზადეს ისრაელის აგრესია არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ჟანდარმის როლს ასრულებენ და უცერემონიოდ ერევიან ევროპის, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ამერიკის მონოპოლიების გეგმებითა და უშუალო მონაწილეობით ხდება მათთვის არასასურველ მთავრობათა დამხობა, ხორცელდება აგრესიული აქტები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალისტური და რევანშისტული წრეები გულში ატარებენ სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ რაკეტულ-ატომური ომის გეგმებს.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირი, განაგრძობს რა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, არ შეიძლება არ სრულყოფდეს თავის არმიას, ფლოტს, თავის სამოქალაქო თავდაცვას. სკკპ XXIII ყრილობამ აღნიშნა: „საჭიროა სრულყოფდეთ სამოქალაქო თავდაცვას, ვაუმჯობესებდეთ მუშაობას მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში“.

რას წარმოადგენს ამჟამად სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვა? უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მას საერთოსახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს და მისი აგება ხდება ისეთი ვარაუდით, რომ თვითეული ქალაქი, დასახლებული პუნქტი, სახალხო მეურნეობის ობიექტი კარგად იყოს მომზადებული მასობრივი მოსპობის იარაღისაგან თავდასაცავად, ხოლო თვითეული მოქალაქე უნარიანად მოქმედებდეს როგორც ფორმირებათა შემადგენლობაში, ისე დამოუკიდებლად, როცა ეს საჭირო გახდება.

სამოქალაქო თავდაცვის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ადამიანთა საიმედო დაცვა მოწინააღმდეგის რაკეტული დარტყმებისაგან და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მყარი მუშაობა ომიანობის დროის პირობებში. ამ ამოცანებს წყვეტს ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანო — მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტები, სამინისტროები, საწარმოები და დაწესებულებები.

სამოქალაქო თავდაცვის ჩვენი სისტემა ისეთია, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე არ არის ისეთი დასახლებული პუნქტი, სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, სადაც არ ემზადებოდნენ ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღისაგან თავდასაცავად.

ქალაქის (რაიონის) სამოქალაქო თავდაცვის უფროსია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის უფროსი — მისი ხელმძღვანელი. იგი მოქმედებს სამოქალაქო თავდაცვის შტაბისა და სამსახურთა მეშვეობით.

დიდმნიშვნელოვანი როლი ეთმობათ სამოქალაქო თავდაცვის სამსახურებს (სამედიცინოს, ხანძარსაწინააღმდეგოს, საინჟინროს და სხვ.), რომლებიც შექმნილია მოსახლეობისა და ობიექტების სპეციალური შომზადებისათვის და, თუ ომი იქნა, მაშველი და გადაუდებელი ავარიულ-აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის დაზიანების ცერებში. სამსახურთა უფროსები სამოქალაქო თავდაცვის უფროსის თანაშემწეები არიან.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო თავდაცვას სახელმწიფოს თავდაცვის საერთო სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: ეს ხაზგასმით აღინიშნა სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა პატივსაცემად ამას წინათ კრემლში შემდგარ მიღებაზე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. „საჭიროა,— თქვა მან, — განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ თავდაცვის მუშაობას მოსახლეობაში, განვამტკიცებდეთ სამოქალაქო თავდაცვის სისტემას, უფრო ფართოდ ვავრცელებდეთ სამხედრო ცოდნას, მეტადრე ახალგაზრდობაში“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისწრაფვის, რომ არა მარტო შეიარაღებული ძალები იყოს თანამედროვე ამოცანების დონეზე, არამედ სამოქალაქო თავდაცვაც. მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფა შეიძლება შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო თავდაცვის მხოლოდ სეირო ღონისძიებებით, ოვით ხალხის უაღრესად აქტიური მონაწილეობით.

— რით ბანსხვავდება ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სამოქალაქო თავდაცვა წარსული ომის დროინდელი ადგილობრივი საჰაერო თავდაცვისაგან?

— სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის სისტემა შექმნილია ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის საფუძველზე. ადგილობრივმა საჰაერო თავდაცვამ, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში იშვა, გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის თავდაცვაში ძლიერების განმტკიცებაში. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში. მან ბევრი გაიკეთა ადამიანების, სამრეწველო ობიექტების დასაცავად და გადასარჩენად, რითაც ხელი შეუწყო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მოპოვებას. ბევრი საბჭოთა მოქალაქე მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებზე მტრის ავიაციის თავდასხმების შედეგების ლიკვიდაციაში, მათ გადაარჩინეს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე, აღადგინეს სახალხო მეურნეობის ბევრი ობიექტი. ომის შედეგების ლიკვიდაციას რომ ახდენდნენ, განვლილ წლებში მათ გაუუნებლეს და მოსპეს ათასობით ავიაბომბი, ნაღმი, ყუმბარა. ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ყოფილი მაწილების პირადი შემადგენლობის საბრძოლო დიდების მემკვიდრენი ახლაც განაგრძობენ თავიანთ მხედრულ შრომას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა არ ახორციელებდა საერთო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, რომლებშიც მთელი მოსახლეობა მიიღებდა მონაწილეობას.

სამოქალაქო თავდაცვა ახლა თვისებრივად ახალი, ნამდვილად მასობრივი სისტემაა. განუზომლად გართულდა მისი ამოცანები და ფუნქციები, გაიზარდა პასუხისმგებლობა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ბედისათვის, ქვეყნის კოლოსალური ეკონომიურ და კულტურულ სიმდიდრეთა დაცვისათვის.

— რაზე მუშაობენ ახლა ქალაქების, დასახლებული პუნქტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო რაიონების სამოქალაქო თავდაცვის შტაბები?

— შტაბი სამოქალაქო თავდაცვის მართვის მთავარი ორგანოა, მე ვიტყოდი, მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მთავარი ორგანიზატორია. ამიტომ, ცხადია, ყოველ შტაბს ბევრი საქმე აქვს. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთს. შტაბები მთელ მოსახლეობას ასწავლიან მასობრივი მოსპობის იარაღისაგან დაცვის ღონისძიებებს, ქმნიან და ამზადებენ საჭირო ფორმირებებს (რაზმებს, გუნდებს, ჯგუფებს და ა. შ.). თვალყურს ადევნებენ იმ საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის მსვლელობას, რომელთა მიზანია მოსახლეობისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა მასობრივი მოსპობის იარაღისაგან.

შტაბის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოწინააღმდეგის თავდასხმის საშიშროების შესახებ მოსახლეობისათვის შეტყობინების საიმედო და სწრაფად მოქმედ საშუალებათა მომზადება. ატომური და სხვა იარაღის გამოყენების შემთხვევაში შტაბი მოწოდებულია სწრაფად მოაწყოს დაზიანების კერის დაზვერვა, უზრუნველყოს თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციის დროს ძალებისა და საშუალებების მყარი მართვა.

ყველა რგოლში წარმატებებით რომ მიმდინარეობდეს მზადება მასობრივი მოსპობის იარაღისაგან თავდაცვისათვის, საჭიროა კარგი თანამოქმედება სამოქალაქო თავდაცვის

ჩვენს ყალე-ჭალაში

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

სანამ ზარი დაირეკებოდეს

ამ დღეებში თელავში გაიხსნა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფს თელავის ძაფსახვეევ-საგრეხ, მამაკაცის წინდების საქსოვ და № 15 სამკერვალო ფაბრიკებს.

ბ. კარდენახიშვილი.

ბოსლევში (ზესტაფონის რაიონი) დამთავრდა ახალი სამსართულიანი საშუალო სკოლის მშენებლობა. სკოლას აქვს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი. იგი მთლიანად ელექტროფიცირებულია, აქვს ცენტრალური გათბობა.

ალ. კაპანაძე.

სკოლის მერხიდან კოლმეურნეობაში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის მიხდვრებსა და ბაღ-პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნეთა გვერდით მუშაობს ბევრი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა. წელს მრავალმა ახალგაზრდამ გამოთქვა პატრიოტული სურვილი დარჩეს მშობლიურ კოლმეურნეობაში სამუშაოდ. მათ შორის აღსანიშნავია მ. ებრალიძე, ც. ჩხაიძე, თ. სარჯველაძე, თ. კუნჭულია, ა. ჯორბენაძე, ი. პატარაია, ვ. ლომაძე და სხვები.

ახალგაზრდა პატრიოტებს გადაწყვეტილი აქვთ შრომასთან ერთად სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებლად.

ჩიბათელი მოსწავლეების მაგალითი მისაბაძია.

ნაირ-ნაირი

◆ **უვარელი.** (საკ. კორ.). მოსავლის აღების ცხარე დღეებში შეიქმნა შილდის კულტურის სახლისა და შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის აგიტმხატვრული ბრიგადები (ხელმძღვანელები მ. ჯიქურაშვილი და ვ. კუნელაშვილი). მათ მიერ გამართულ კონცერტებსა და საუბრებს სიამოვნებით ისმენდნენ შილდელი, საბუელი და სხვა მეზობელი კოლმეურნეობების მექანიზატორები და მემინდვრეები.

ახლა ბრიგადებმა მუშაობა საშრობ კალოებზე გადაიტანეს, სადაც ამჟამად საიუბილეო წლის უხვი მოსავლის წმენდა და სათესლე მასალის მომზადება მიმდინარეობს.

◆ **კავშირგაბმულობის** ზუგდიდის რაიონულ კვანძში ამას წინათ მიიღეს და დახარისხების საამქროში დაამონტაჟეს წერილების დასადამღი ავტომატური მანქანა. თუ წინათ დამხარისხებელს ხელის დამღით 3-4 საათში 10 ათასი წერილის დადამღვა უხდებოდა, ამჟამად ავტომატური მანქანით ამ სამუშაოს შესრულებას 50 წუთი სჭირდება.

გ. ალშიბაია.

გედნიერი გილეთები

ახმეტის რაიმილიციის უბნის რწმუნებულმა ლ. ხაღირაშვილმა საქართველოს ფულისა და ნივთების 1967 წლის მეშვიდე გამოშვების ლატარიის 57949 სერიის № 086 ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ამავე გათამაშების ლატარიის 57058 სერიის № 086 ნომერ ბილეთს, რომლის მფლობელია ახმეტის რაიონული უნივერმაღის გამყიდველი მ. ლაზარიაშვილი, წილად ხვდა პიანინო.

შ. ეპიტაშვილი.

ზესტაფონი. ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებით აქაურმა მშრომელებმა მრავალი მსუბუქი მანქანა, მაცივარი, პიანინო მოიგეს.

ამას წინათ ზესტაფონში მცხოვრებმა ლ. სამხარაძემ და კვალითელმა ს. გუნიავამ შემნახველ სალაროში წარმოადგინეს ფულისა და ნივთების ლატარიის იღბლიანი ბილეთები. მათ პიანინოები მოიგეს.

გ. გრიგოლია,
ზესტაფონის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

ძილი და სიზმარი

გვესაუბრება მეცნიერი

ის მონაცემები, რაც დღეს მოგვეპოვება ძილისა და სიზმრის ფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ, მიღებულია თავის ტვინის ბიოდენების შესწავლის გზით. საქმე ის არის, რომ თავის ტვინის მოქმედების დროს მასში ჩნდება სუსტი ელექტრული პოტენციალები. ამ ელექტრული პოტენციალების სხვაობის ნიადაგზე აღძრულ ბიოდენებს სპეციალური დანადგარებით მრავალ ათასჯერ აძლიერებენ და ჩაიწერენ ფირზე ან ქაღალდზე (ელექტროენცეფალოგრამა). ადამიანის თავის ტვინის ელექტროენცეფალოგრამას როგორც ნორმალურ მდგომარეობაში, ისე მისი დაავადების დროს თავისებური ხასიათი აქვს, რაც მისი ზოგიერთი დაავადების ზუსტი დიაგნოზირების საშუალებას იძლევა.

მაგრამ ელექტროენცეფალოგრამა მნიშვნელოვნად იცვლება აგრეთვე ძილისა და ღვიძილის მდგომარეობაში. თუ ცხოველს ან ადამიანს სძინავს, ელექტროენცეფალოგრამა ძირითადად შედგება დიდი ამპლიტუდისა და მცირე სიხშირის (2-4 ერთ წამში) რხევებისაგან, რომელთაც უწოდებენ „ნელ“ პოტენციალებს; გამოდვიძებისთანავე „ნელი“ პოტენციალები ისპობა და შეიცვლება შედარებით მცირე ამპლიტუდისა და დიდი (20-30 ერთ წამში და მეტი) სიხშირის რხევებით — „სწრაფი“ პოტენციალებით.

ძილის დროს თავის ტვინის ბიოდენების უფრო დაწვრილებითმა შესწავლამ უკანასკნელ წლებში გამოავლინა ერთი შეხედვით საკვირველი მოვლენა. აღმოჩნდა, რომ ჩათვლემისა და დაძინების განსაზღვრული დროის შემდეგ მანამდე მიმდინარე ძილისათვის დამახასიათებელი „ნელი“ პოტენციალები სანმოკლე დროით (5-10 წუთით) უცვლ ისპობა და მათ ნაცვლად აღიარეცება „სწრაფი“ პოტენციალები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდება ღვიძილის მდგომარეობისათვის დამახასიათებელი პოტენციალებისაგან. მიუხედავად ამისა, ცხოველს ან ადამიანს ამ დროს სძინავს. ძილის ამ ფაზას უწოდეს „პარადოქსული“ ძილი, რადგან ტვინის ელექტრული აქტივობის მიხედვით ცხოველს თითქოს ღვიძავს, ხოლო ქცევის მიხედვით კი სძინავს. ცოტა ხნის შემდეგ ძილის ეს ფაზა ისპობა და კვლავ იცვლება ძილის ისეთი ფაზით, რომელსაც ახასიათებს ტვინის „ნელი“ პოტენციალები, ე. ი. „ნელი ძილი“.

გამოირკვა, რომ „ნელი“ და „პარადოქსული“ ძილი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ბიოდენებით. „ნელი“ ძილის დროს თვალები, კიდურები არ მოძრაობენ, „პარადოქსული“ ძილისას კი დროდადრო აუცილებლად მოძრაობს თვალები, კიდურები, ცხოველის ტუჩები, ულვაშები, მიმიკური კუნთები და ხშირად ცხოველი წკმუტუნებს კიდეც. „ნელი“ ძილის დროს გულისა და სუნთქვის ორგანოების მოქმედება რეგულარული და მშვიდია, მაშინ როდესაც „პარადოქსული“ ძილის დროს მათი მოქმედება ძლიერდება, არარეგულარულია; სისხლის წნეხი მატულობს და დიდ ფარგლებში მერყეობს, მატულობს თავის ტვინის ნერვული უჯრედთა მოქმედება, ნივთიერებათა ცვლა და ტემპერატურა, ე. ი. საქმე გვაქვს ორგანიზმის მრავალი ფუნქციის გაძლიერებასთან და არარეგულარულ მიმდინარეობასთან.

მაშასადამე, „პარადოქსული“ ძილი მკვეთრად განსხვავდება „ნელი“ ძილის, აგრეთვე ღვიძილის მდგომარეობისაგან. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას გამოყოფს როგორც ჩვენი ორგანიზმის სავსებით დამოუკიდებელ და თავისებურ, მესამე მდგომარეობას, რომელიც ისევე აუცილებელია ორგანიზმისათვის, როგორც სიფხიზლე და ძილი. აგრეთვე გამოირკვა, რომ ადამიანი სიზმარს ხედავს მხოლოდ „პარადოქსული“ ძილის დროს. როგორც ფიქრობენ, სიზმრების ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვისა და ორგანიზმის სხვა სისტემების გაძლიერებული და არარეგულარული მოქმედება ძილის ამ ფაზის დროს.

დგება საკითხი, — რა ფუნქცია აქვს „პარადოქსულ“ ძილს? „ნელი“ ძილის დროს თავის ტვინის უჯრედები ისვენებენ და ენერგიას აღიდგენენ. „პარადოქსულ“ ძილს რაღა ევალება, ნუთუ მარტო სიზმრისათვის არის იგი და განა აუცილებელია ეს? ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ფიქრობს, რომ „პარადოქსული“ ძილის განვითარება და სიზმრის ნახვა აუცილებელია თავის ტვინის ნორმალური მოქმედებისათვის. თუ ადამიანს ძილის დროს მრავალი დღე-ღამის განმავლობაში „პარადოქსული“ ძილი არ აღეძრის და სიზმარს არ ხედავს (სხვადასხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო), მას უკითარდება ნევროზისა და ფსიქიური მოშლილობის ტიპიური სურათი: მოუსვენრობა, შიში, ჰალუცინაციებისადმი მიდრეკილება და სხვა. იგი იქცევა ისე, თითქოს ღვიძილის მდგომარეობაში ხედავდეს იმ სიზმრებს, რომლებიც მან, სხვადასხვა მიზეზით, ღამით ძილის დროს ვერ განიცადა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს თუ ცხოველს „ნელი“ ძილით სძინავს, მაგრამ „პარადოქსული“ ძილის განვითარებას საშუალებას არ ვაძლევთ. ეს არ არის სრული უძილობა — ეს არის უსიზმრო ძილი.

„პარადოქსულ“ ძილს და მასთან დაკავშირებულ სიზმარს რომ მართლაც რაღაც დიდი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის ნორმალური მოქმედებისათვის, ეს ჩანს შემდეგიდანაც. თუ ადამიანს ან ცხოველს ზედიზედ რამდენიმე დღეღამის განმავლობაში „პარადოქსული“ ძილის განვითარების საშუალებას არ მივცემთ და მერე ნორმალურ პირობებში დავაძინებთ მას, გასაგებია, მეტი დრო ეძინება, მაგრამ, რაც მთავარია, „პარადოქსული“ ძილი უფრო ხშირად აღეძრება და მისი საერთო ხანგრძლივობის პროცენტი (ძილის საერთო დროსთან შედარებით) გაცილებით მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ნორმალური ძილის დროს. მაშასადამე, „პარადოქსული“ ძილი და სიზმარი, რომელიც ხელოვნურად მოვაკლეთ ორგანიზმს, იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე ორგანიზმი თითქოს ცდილობს აღიდგინოს დანაკლისი.

„პარადოქსულ“ ძილს კიდევ ბევრ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან მიაწერენ. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ მას დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ცხოველთა სამყაროს ევოლუციის პროცესში, არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებისათვის. მათი აზრით „პარადოქსული“ ძილი მძინარე ორგანიზმის „გუშაგის“ როლს ასრულებს. ძილის დროს, როდესაც თავის ტვინს გარეშე გამღიზიანებელთა აღქმის უნარი აღარა აქვს, ცხოველი უმწეო მდგომარეობაში ვარდება და შეიძლება მტაცებლის მსხვრპლი გახდეს. ცხოველს ძილის დროსაც რომ ჰქონდეს გარეშეში მტრის მოახლოების დროზე გაგების, შესაძლებლობა, თითქოს, ამისათვის დროდადრო ვითარდება ეს ფაზა, რომელიც გამღიზიანებელთა აღქმის მხრივ თავის ტვინს ძალიან აახლებს ფხიზელ მდგომარეობასთან, თუმცა ცხოველს სძინავს. თუ ამ დროს გარეშეში არაფერი საშიში არ აღმოჩნდება, ცხოველი კვლავ ღრმად იძინებს, თუ გარეშეში საზიფათო სიტუაცია აღმოჩნდება, ცხოველი მეისვე იღვიძებს, თავის დასაცავად დროზე ემზადება და ამით თავს ინახავს არსებობისათვის ბრძოლაში.

არანაკლებ საინტერესო შედეგები იყო მიღებული „პარადოქსული“ ძილის ონტოგენეზური განვითარების მხრივ. აღმოჩნდა, რომ ახალშობილებში მისი ხვედრითი წილი გაცილებით დიდია. თუ ზრდასრული ადამიანის „პარადოქსულ“ ძილზე ძილის საერთო დროის 23 პროცენტი (საშუალოდ) მოდის, ახალშობილებში ის 50 პროცენტს აღწევს, ხოლო ახალდაბადებულ კატის კნუტებში — 80-90 პროცენტს. ნაადრევად დაბადებულებში კი უფრო მეტია. დაბადებიდან ზრდის დასრულებამდე მისი ხანგრძლივობა თანდათან მცირდება. გამოდიან რა ამ ფაქტიდან, ფიქრობენ, რომ „პარადოქსული“ ძილი ხელს უნდა უწყობდეს ტვინის განვითარებას. ტვინის ანატომიური და ფუნქციური (ისევე როგორც ყველა სხვა ორგანოსი თუ სისტემისა) განვითარება სწრაფად და სრულყოფილად ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის განვითარების პროცესში მოქმედებს და არა უმოქმედოა. ტვინი მოქმედებს გამღიზიანებლის პასუხად. დაბადებამდე მასზე არავითარი გაღიზიანება არ მოქმედებს, გარდა დედის სისხლის შემადგენელი ნაწილებისა. მისი მოქმედებისათვის და ამ პროცესში სრულყოფილი განვითარებისათვის, მის მოსამზადებლად დაბადების შემდეგ უამრავ გარეგან გამღიზიანებელთა მიმღებლობისათვის, საჭიროა მძლავრი გამღიზიანებელი, რომელიც განვითარებაში მყოფ ნერვულ გზებსა და უჯრედთა ურთიერთკავშირებს ამოქმედებს ისე, როგორც ისინი უნდა მოქმედებდნენ დაბადების შემდეგ, გარეგან გაღიზიანებათა საპასუხოდ. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ფუნქციას ემსახურება „პარადოქსული“ ძილი“. მაშასადამე, იგი აუცილებელი ყოფილა ნაყოფისა და ახალშობილის თავის ტვინის ნორმალური განვითარებისათვის. ჯერ კიდევ დედის ორგანიზმში იმ მექანიზმით, რომელიც „პარადოქსულ“ ძილს იწვევს, ნაყოფის ტვინი პერიოდულად მოქმედებს და ვითარდება, მზადდება დაბადების შემდეგ გარეგან გამღიზიანებელთა მიმღებლობისა და შემდგომი განვითარებისათვის. დაბადების შემდეგ მისი ხანგრძლივობა თანდათან მცირდება. „ნელი“ ძილისა კი მატულობს. ამას უკავშირებენ, ჯერ ერთი, იმას, რომ გარეგან გამღიზიანებელთა მოქმედების გამო აღარ არის საჭირო მანამდე გამღიზიანებლის მოვალეობის შემსრულებელი „პარადოქსული“ ძილი და, მეორეც, სულ უფრო და უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება დიდი ტვინის ქერქის სტრუქტურა და ფუნქციები. ეს უკანასკნელი კი განაპირობებს „ნელი“ ძილის განვითარებას, და ამიტომ მისი ხანგრძლივობა დაბადების შემდეგ სულ უფრო და უფრო იზრდება.

მაგრამ თავის ტვინის რომელ უბანში აღიძვრის აგზნების ეს იმპულსები, რომელიც პერიოდულად აამოქმედებს ნერვულ გზებსა და უჯრედებს, ე. ი. განაპირობებს „პარადოქსული“ ძილის განვითარებას? დადგინდა, რომ მისი გამომწვევი კერაა თავის ტვინის ღერღვანი ნაწილის (კერძოდ ე. წ. ვაროლის ხიდის) ნერვული უჯრედები (ბადებრივი ფორმაცია). სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გავლენით, რომლებიც მასში ჩნდება ნივთიერებათა ცვლის შედეგად, იგი ღრმადღრმა აიგზნება და შემდეგ აგზნების იმპულსები ფართოდ ვრცელდება ტვინის ყველა გზაში, განსაკუთრებით კი მზედველობის სისტემაში. რომ მარილაც. აღნიშნულ ღრმადმდებარე სტრუქტურაშია „პარადოქსული“ ძილის გამომწვევი მექანიზმი, ეს ცდითაც ჩანს. თუ მძინარე ცხოველს ხანმოკლედ ელექტროდენით ვაროლის ხიდს გაუღიზიანებთ, ვითარდება „პარადოქსული“ ძილი მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნებით; თუ ვაროლის ხიდს დავაზიანებთ, მაშინ კი იგი ცხოველს აღარ უვითარდება.

ვინაიდან ვაროლის ხიდი და საზოგადოდ ტვინის ღერო ცხოველთა ევოლუციური განვითარების პროცესში ადრე განვითარდა, ე. ი. ის ძველი სტრუქტურაა, მის მიერ გამოწვეული ძილის ფორმას, ე. ი. „პარადოქსულ“ ძილს უწოდეს აგრეთვე „ძველი ძილი“. „ნელ“ ძილს კი, რომელიც დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქით, ე. ი. ფილოგენეზურად ყველაზე ახალი წარმონაქმნით, ორგანიზდება, ეწოდა „ახალი ძილი“. ვინაიდან ადამიანს ორივე სტრუქტურა აქვს, მათ შორის კი დიდი ტვინის ქერქი ყველაზე განვითარებულია, მას ახასიათებს ძილის ორივე ფორმა. ჩვეულებრივი ძილი — ორგანიზმის ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია — იწყება „ნელი“ ძილით, ე. ი. დიდი ტვინის ქერქისათვის დამახასიათებელი ფორმით ძილისა, „პარადოქსული“ ძილი კი, ვითარდება მოგვიანებით და ისიც მხოლოდ დროდადრო.

სულ უკანასკნელ ხანებში „პარადოქსული“ ძილის დანიშნულების შესახებ კიდევ ერთი მოსაზრება გამოითქვა. ფიქრობენ, რომ დღის განმავლობაში, ნერვული სისტემის გაძლიერებული მოქმედებისა და ნივთიერებათა ცვლის შედეგად, წარმოიშობა ტვინზე ტოქსიკურად (მომშხამველად) მოქმედი ზოგიერთი პროდუქტი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ძილის განვითარებას. როდესაც ამ ნივთიერების კონცენტრაცია მაქსიმუმს მიაღწევს, ეს იწვევს „პარადოქსული“ ძილის მორიგი პერიოდის აღძვრას. უკანასკნელი თავის მხრივ იწვევს ტოქსიკურად მოქმედი ნივთიერების სახეცვლილებასა და გაუვნებლობას. მაშასადამე, ამ ჰიპოთეზის თანახმად „პარადოქსული“ ძილი უვნებელყოფს ნერვული სისტემის ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთ მავნე პროდუქტს.

ამჟამად თითქმის ყველა ცნობილ ინსტიტუტსა და ლაბორატორიაში (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) ინტენსიურად შეისწავლიან „პარადოქსული“ ძილის განვითარების სხვადასხვა მხარეს და მის ბიოქიმიურ ბუნებას. ასეთი დიდი ინტერესი გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ძილის განვითარების მექანიზმების საკითხი თავისთავად დიდ ინტერესს წარმოადგენს, არამედ უფრო იმიტომ, რომ „პარადოქსული“ ძილის შესწავლის პროცესში ირკვევა თავის ტვინის როგორც ნორმალური, ისე პათოლოგიური მოქმედების მრავალი ახალი მხარე.

პროფ. ს. ნარიკაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ა. ლ. მიქელაძე —
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ელექტრონული მიკროსკოპის ლაბორატორიის გამგემ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **არჩილ ლევანის-ძე მიქელაძემ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე **„ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ლ. მიქელაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.



ლიახვი. ეს სიტყვა პატარა მდინარეს აწერია სოფელ ნიქაროელოს რუკაზე, მაგრამ ადგილობრივი კაცი კარგად იცნობს ამ მდინარეს, რომელსაც არაერთხელ გადმოუფლეხავს ნაპირები და მოსახლეობას დამუქრებია.

ოვალურმტაც ჯვალ ხეობაში იგი მართლაც პატარაა, მაგრამ სწრაფი და თვალშუქტილია. დღეს იგი ადამიანმა ხმმსახურში ხარჯავს თავის ენერგიას, ძველებურად ლამაზ ხეობას მოჰყვება შხუილით, ვიდრე დიდ მტკვარს შეუერთდებოდეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბოლო სვეტიდან

◆

მამაცი მოგზაურები ცოცხლები არიან

საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. სადოვი ვერტმფრინავიდან იტყობინება: 8 აგვისტოს პოლარული ავიაციის ვერტმფრინავმა „მი-4“, რომელსაც მართავს საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ა. ბორისოვი, და რომელიც პოლარელი მოგზაურების მწერალ მ. ე. სკოროხოდოვისა და მონადირე დ. ა. ბუტორინის საძებრად გაფრინდა, აღმოაჩინა ისინი ტუნდრაში იამალის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად. კარბასი „შჩელია“ გზაში საწვავის უკმარობის გამო შეფერხებულა. ახლა მოგზაურები კვლავ ყინულოვანი ოკეანის დასალაშქრავად ემზადებიან. გაიარა რა 500 კილომეტრზე მეტი წყალსა და ხმელეთზე ნახევარკუნძულის მდინარეებსა და ტბებში, „შჩელია“ მანგაზეისაკენ მიდის.

საფრანგეთში დაიღუპა ვერტმფრინავი ამი-6

კვირა საღამოს, ამა წლის 6 აგვისტოს საფრანგეთში, ქალაქ მარსელის მახლობლად დიდი ტყის ხანძრის ჩაქრობის დროს რთულ მთიან პირობებში კატასტროფა მოუვიდა საბჭოთა ვერტმფრინავს მი-6-ს. ხანძრის ზონაში ერთ-ერთი შესვლის დროს ვერტმფრინავი, რომელიც მცირე სიმაღლეზე მიფრინავდა, კედელში გაეხვია, კლდეს დაეჯახა და დაიმსხვრა.

ეკიპაჟი, რომელშიც შედიოდნენ ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული გამომცდელი მფრინავი ი. ა. გარნაევი, მეორე პილოტი ი. ნ. პეტერი, შტურმანი ვ. ფ. ივანოვი, ბორტინჟინერი ს. ა. ბუგაენკო, ბორტრადისტი ბ. ნ. სტოლიაროვი, გამომცდელი ინჟინრები ა. ი. ჩულკოვი და ვ. ბ. მოლჩანოვი, და ორი ფრანგი სპეციალისტი დაიღუპა.

ხანძარსაწინააღმდეგო ვარიანტის ვერტმფრინავი მი-6 მიმდინარე წლის მაისში წარმოდგენილი იყო პარიზის საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე, შემდეგ კი საფრანგეთის ფირმებთან შეთანხმებით მონაწილეობდა საფრანგეთის სამხრეთში ტყის ხანძრების ჩაქრობაში. ამ დროის განმავლობაში ვერტმფრინავის ეკიპაჟმა 8 დიდი ტყის ხანძარი ჩააქრო.

ვერტმფრინავის დაღუპვის ადგილას საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი გაემგზავრა.

მნერალი ქალის სახელობისა

ამ დღეებში სოფელ გეზათის (აბაშის რაიონი) მცხოვრებლებმა აღნიშნეს თავიანთი თანასოფლელის, მწერალ ვერა შუბლაძის დაბადების 50 და გარდაცვალების 10 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით სოფელში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა, რომელსაც მწერალი ქალის სახელი მიეკუთვნა.

გაიმართა ვერა შუბლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ. მოხსენება მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა ა. ღვინიაშვილმა. სტატიებითა და მოგონებებით გამოვიდნენ პოეტები ა. მორცხულავა და გ. წერეთელი, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჭახრაია, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სწავლული მდივანი ალ. კოკაია, მასწავლებელი ფ. თათარაშვილი და სხვ.

პოეტმა კ. ბობოხიძემ შეკრებილთა გააცნო დეპეშები, რომლებიც ბიბლიოთეკის დირექციამ მიიღო მოსკოვიდან (ნიკოლოზ ტიხონოვისაგან), თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან.

ს. ხათაშვილი.

არქეოლოგიური ნაპოვნი

ჭიათურა. სოფელ მეჩხეთურში მოსწავლე გალინა ბურჯანაძემ მიწაში იპოვნა უძველესი ბრინჯაოს ნაჯახი.

არქეოლოგიური ნაპოვნი ჭიათურის შახრეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა.

ს. ხითარიშვილი.

რკინიგზელის მოსაზრებულობა

26 ივლისს მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა. წვიმა არც მეორე დღეს შეწყვეტილა. ქუთაისის რკინიგზის კონდუქტორთა სამარაგო პუნქტის უფროსი კონდუქტორი გ. გელაძე ტყიბულის რაიონის სოფელ დაბაძველში ისვენებდა. გამთენიისას საწვიმარი მოისმა და იქვე ახლოს მდებარე რკინიგზის ლიანდაგისაკენ წავიდა. ჯერ კიდევ ბნელოდა. უცებ დაინახა, რომ წამოღებული ქვა-ღორღი და მცენარის ძირკვები წყალს ლიანდაგზე უხვად დაეგროვებინა. მის გადაწმენდას საკმაო ხანი სჭირდებოდა. ორიოდე წუთში კი სახალხო მატარებელს უნდა გამოეცალა.

დაყოვნების დრო არ იყო, იგი ადმა შეჰყვა რკინიგზას. აი, კიდევაც გამოანათა ელმავლის შუქმა, რომელიც სულ უფრო ახლოვდებოდა. მაგრამ მემანქანემ შენიშნა რკინიგზელის მიერ მიცემული საგანგაშო ნიშნები და მატარებელი დროზე შეაჩერა.

გზა გაწმენდილ იქნა და მატარებელიც მშვიდობიანად გაუყვა გზას. მ. მელაძეს მგზავრთა დიდი მადლობა დაიმსახურა.

ი. ქარქაშაძე.

სასიამოვნო სტუმრები

ბურჯაანი. (საკ. კორ.). ერთ კვირას გაგრძელდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა სტუმრობა ბურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლი — შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ეურულისა) სოფლის სცენაზე ნახეს ბურჯაანის, ველისციხის, კალაურის, ვაზისუბნის, ახაშენისა და სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-მთესველებმა.

ოლიმპიადა

გელერმა დაამარცხა ფიშერი

ბელგრადი, 9 აგვისტო. (საკ-დესი). დარბაზში, სადაც საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს, ტაშმა იგრიალა. სწორედ რომ იყო სიჩუმის დარღვევის მიზეზი. საბჭოთა გროსმაისტერმა **ეფიმ გელერმა** აიძულა ცნობილი ამერიკელი გროსმაისტერი **რობერტ ფიშერი** დაეუარა ფარ-ხმალი.

ეს მოხდა „ხოლიდარობის საერთაშორისო შეხვედრის“ მეორე ტურში. პირველი ტური გათამაშდა ქალაქ სკოპლეში. შემდეგ მოჭადრაკეები გაემგზავრნენ კრუშევოში, სადაც ხუთ ტურს გამართავენ.

ფიშერი, რომელმაც გელერთან შეხვედრა წააგო მონტე-კარლოს ტურნირში, ახლა განსაკუთრებით აგრესიულად იყო განწყობილი. მან გათამაშა სიცილიური პარტიის მწვავე ვარიანტი და მეტოქეს მსხვერპლად შესთავაზა ფიგურა, რაც სწორი არ გამოდგა. ფიშერს გარდუვალი შამათი ელოდა და მან საათი გაიჩერა.

მეორე ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მეორე საბჭოთა გროსმაისტერმა **რატმირ ხოლმოვმა.** ესპანურ პარტიაში მან დაამარცხა ბულგარელი მოჭადრაკე **პეტროვი.**

თამაშის განუახლებლად **გელერის** დანებდა **მარჩიჩ** (იუგოსლავია), ეს იყო პირველი ტურის პარტია.

ორი ტურის შემდეგ წინ არიან **გელერი** და **ხოლმოვი** — ორ-ორი ქულა. ფიშერს მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს.

ფეხბურთის მოედნებზე

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდებს გუშინდლამდე გამართული ჰქონდათ საკვანძო ჩემპიონატის ოცდაოთხ-ოცდაოთხი მატჩი. ლიდერობის ინარჩუნებს კოსნოდარის „ყუბანი“, რომელსაც 24 თამაშიდან 34 ქულა აქვს. მომდევნო ორი ადგილი უჭირავთ რიგის „დაუგავსა“ (32 ქულა) და კიროვაბადის „დინამოს“ (31 ქულა), თბილისის „ლოკომოტივსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ თანმიმდევრულად მეცხრე და მეათე ადგილები უჭირავთ. პირველ 25 ქულა აქვს, მეორეს — 24. ბათუმის „დინამო“ 15 ქულით უკანასკნელისწინა — მეცხრამეტე ადგილზეა.

„ბ“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდებს გუშინდლამდე გამართული ჰქონდათ საკვანძო ჩემპიონატის ოცდაოთხ-ოცდაოთხი მატჩი. ლიდერობა ინარჩუნებს კოსნოდარის „ყუბანი“, რომელსაც 24 თამაშიდან 34 ქულა აქვს. მომდევნო ორი ადგილი უჭირავთ რიგის „დაუგავსა“ (32 ქულა) და კიროვაბადის „დინამოს“ (31 ქულა), თბილისის „ლოკომოტივსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ თანმიმდევრულად მეცხრე და მეათე ადგილები უჭირავთ. პირველ 25 ქულა აქვს, მეორეს — 24. ბათუმის „დინამო“ 15 ქულით უკანასკნელისწინა — მეცხრამეტე ადგილზეა.

სვერდლოვსკში დაიწყო ფინალური ტურნირი ფეხბურთში „შაბუკთა თასზე“. დასკვნითს ასპარეზობში მონაწილეობენ — საქართველოს, მოსკოვის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები, აგრეთვე ლუგანსკის ოლქის გუნდი. შედგა პირველი ტურის შეხვედრები. ლენინგრადის ნაკრებმა და ლუგანსკის ოლქის ფეხბურთელთა მატჩის შედეგი ფრე — 0:0. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა აზერბაიჯანისა და მოსკოვის გუნდების თამაში. საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა უზბეკეთის გუნდი.

ოლიმპიადა

მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საერთაშორისო მატჩი ასურჯედან შაშის ჰოლანდიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი ტური აღინიშნა საბჭოთა ნაკრების წარმატებით 6:4. ჩვენმა გუნდმა მეორე ტურშიც გაიმარჯვა, ამჯერად 8:2.

ბათუმსა და ტყიბულში

ბუშინ ბათუმში გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდებს — ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და ბათუმის „დინამოს“ მორიგი მატჩი ფეხბურთში. წარმატება ვილნიუსელებს ხვდათ ანგარიშით 1:0.

ტყიბულში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეშახტისა“ და გომელის „სპარტაკის“ გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

ლიდერები და აუტსაიდერი

საქართველოს ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის. პირველი ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს 26-27 თამაში, ზოგიერთს კი 25.

ვინ მოიკოვებს თასს?

ბრძოლდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში. შედგა კიდევ ორი მატჩი.

მახარაძის „მერცხალი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა ახალციხის „მეხსეთის“ წინააღმდეგ. გაიმარჯვა „მერცხალმა“ ანგარიშით 2:1.

ჩოხატ